# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 7 აგვისტო, 2012 წელი.

№149 (7025)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

## შემოდგომიდან ჩვენ ვიქნებით ის ხელისუფლება, რომელიც რეალურად იზრუნებს ხალხზე, საქმეს გააკეთებს და არაფერს დააყვედრებს თავის მოქალაქეებს, რადგან ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახუროს და არა – ხალხი ხელისუფლებას



### ბიძინა ივანიშვილის მიმართვა აჭარლებს 5 აგვისტოს

2-3



## ბათუმის აქციაზე, თავსხმა წვიმაში 50-დან 60 000 ადამიანი ფეხმოუცვლელად იდგა

4

## მერაბიშვილი, ივანიშვილი, სააკაშვილი: „პოლიტიკური ომი“ საქართველოში

## ფინანსური ტერორი თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ!

SOS!

სააკაშვილის ხელისუფლებამ მედიის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ხერხს მიმართა! ესაა ფინანსური დაჯარიმების გზით თავისუფალი მედიის განადგურება!!!

„ალია ჰოლდინგის“ გამოცემების „ალიასა“ და „კვირის ქრონიკის“ სასამართლო გზით 50 ათასი ლარით დაჯარიმება სწორედ ამის ნათელი მაგალითია!

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 9 მარტის გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ „კვირის ქრონიკაში“ გამოქვეყნებული სტატიები მხოლოდ რესპონდენტების ნათქვამზე იყო დაყრდნობილი და არც ერთი განცხადების ავტორი არ არის ჟურნალისტი.

„შპს „ალია ჰოლდინგმა“ (და ჟურნალისტმა დ. ჩუბინიძემ) სტატიების გამოქვეყნებით დაიცვეს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, ამასთან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დანაწესი გამოხატვის თავისუფლების უფლების შესახებ. უშუალოდ მოპასუხის (ან ჟურნალისტის) რაიმე ქმედებით მოსარჩელე ოთარ კობერიძეს არ დარღვევია კანონით დაცული რომელიმე უფლება და ამის შედეგად არ მიყენებია მას რაიმე სახის ზიანი“.

სააპელაციო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ რესპონდენტის ნათქვამზე პასუხი უნდა აგოს გაზეთმა და „ალია ჰოლდინგს“ დააკისრა ჯარიმა – 50 ათასი ლარი.

ამ თანხის გადახდა არა თუ ფინანსურ პრობლემებს შეუქმნის ჰოლდინგს, არამედ გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ საერთოდ შეწყვეტენ არსებობას!

**ეს გახლდათ თავისუფალი მედიის ამ მეთოდით დასჯის პირველი პრეცენდენტი!!!**

ამ პრეცედენტის დაშვების შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეუძლიათ, დააჯარიმონ ნებისმიერი დამოუკიდებელი გამოცემა ან ტელევიზია რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ან გამონათქვამის გამო!!!

**ეს არის ბრძოლა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელი მედიის არსებობას!**

**„სოლიდარობა მედიის თავისუფლებისთვის“**

# ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახუროს და არა — ხალხი ხელისუფლებას

## ბიძინა ივანიშვილის მიმართვა აჭარლებს



**მოგესალმებით, ჩემო ბათუმელებო! მოგესალმებით, ჩემო აჭარა!**

**მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ ამ შეხვედრისთვის.**

**მივესალმები ქედას, ხულოს, შუახევს, ქობულეთს, ხელვაჩაურს, ბათუმს! მივესალმები მთელ საქართველოს!**

**დღეს ჩვენ საქართველოს კარიბჭედ ქცეულ მიწაზე ვდგავართ, რომელსაც, ვინ მოთვლის, რამდენი ჭირ-ვარამი გადახდენია თავს!**

**დიდი იმპერიების ჭიდილში აჭარა ყოველთვის სამშობლოს, საქართველოს ერთგული იყო; ხშირად საკუთარ ქვეყანას მოწყვეტილი, ჩუმად გულში ქართველობას ინახავდა და უცხოელების ქვეშევრდომობას არასოდეს შეჰგუებია.**

**აქ ეროვნულ ცნობიერებას ისე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, რომ სამშობლოს ერთგულება და სიყვარული ერთი წუთითაც არ განელებულა.**

**აი, ამიტომაა, რომ აქ, აჭარაში, განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა ქართველობა, საქართველოს სიყვარული და ერთგულება!**

აჭარა ისეთ დროსაც მოესწრო, როდესაც სახელმწიფო საზღვრები ისე გაუვლეს, რომ ერთ სოფელში მოსახლე ძმებიდან ერთი საქართველოში დარჩა, მეორე კი საზღვრის გადაღმა აღმოჩნდა. ისინი სიმღერით ეხმიანებოდნენ და ისე ატყობინებდნენ თავის სათქმელს ერთმანეთს. აჭარამ ამ განსაცდელსაც ღირსეულად გაუძლო!

განსაკუთრებულია ამ კუთხის ღვაწლი ჩვენი ქვეყნის, საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს, მთლიანობის შენარჩუნებასა და საბოლოო გაერთიანებაში.

როდესაც საქართველოს მთლიანობა იყო გადასარჩენი, არავინ არჩევდა, ვინ იყო ქრისტიანი და ვინ - მუსლიმანი.

**მე კარგად ვიცი, ახლა თქვენს გულში რა ცეცხლიც ტრიალებს. ეს ცეცხლი სახიფათოც არის და სამართლიანიც. სწორედ სამართლიანობის გამოა ის განსაკუთრებულად საშიში. ტყუილის, უსამართლობისა და უკანონობის გამოა ის დანთებული თქვენს გულში.**

თქვენ ტყუილისგან თავისუფალ, სიმართლესა და კანონიერებაზე აშენებულ ქვეყანას იმსახურებთ. და ახლა, საქართველოში სიმართლის, სამართლიანობის დრო მოდის!

**არადა, სწორედ სიმართლეს უპირისპირდება ეს ხელისუფლება და ყველგან ტყუილს თესავს. ტყუილი და ცილისწამება მისი ყველაზე საყვარელი იარაღია.** მეც რამდენი რამ დამაბრალეს, რაც პოლიტიკაში შემოვდგი ფეხი. ისიც კი დამაბრალეს, რომ მე, თურმე, საბჭოთა კავშირი მენატრება.

მე კარგად მახსოვს საბჭოთა კავშირი, რომელიც საყოველთაო, ტოტალური ტყუილის იმპერია იყო - ეს იყო მექრთამეობისა და დახლს ქვემოთ გადანახული სინდისის ქვეყანა, ქვეყანა, სადაც კარგად ცხოვრება მხოლოდ კომპრომისებს და გაიძვერობას მოჰქონდა.

საბჭოური აზროვნება დღემდე ცოცხალია და საზოგადოების განვითარებასაც სწორედ ეს აბრკოლებს. დიახ, სწორედ ტყუილი, თვალთმაქცობა და ფარისევლობა იყო საბჭოეთის ნამდვილი, რეალური იდეოლოგია, რომელიც ადამიანებს აიძულებდა, ერთი ეფიქრათ, მეორე ელაპარაკათ და მესამე ეკეთებინათ.

ნაციონალური ხელისუფლება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს თავის საბჭოთა წინამორბედს, უფრო ზუსტად, წინაპარს.

დააკვირდით სააკაშვილს, დააკვირდით სააკაშვილის ხელისუფლებას და უზუსტეს მსგავსებას იპოვით საბჭოთა ხელისუფლებასთან.

სააკაშვილი გააფთრებით გაჰკივის ყველგან, მეტი საქმე არ მაქვს, ეს ქვეყანა ვინმე სხვას გადავაბარო და დავანგრევინოო.

**მე არ ვიცი არც ერთი სხვა ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც ასე დაუფარავად გაბედავდა იმის საჯაროდ გაცხადებას, რომ არსად არ აპირებს წასვლას, არ აპირებს თავისი ნებით ხელისუფლების ხალხისთვის გადაბარებას. მე არ ვიცი ამის საჯაროდ მთქმელი არც ერთი ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლების გარდა.**

თავისი წინაპარივით ამ ხელისუფლების იდეოლოგიაც ტყუილზეა აგებული, ხოლო საბჭოური მექრთამეობა ელიტარული კორუფციით არის ჩანაცვლებული.

ორი-სამი კაცი თავისი ნება-სურვილით განკარგავს სახელმწიფო ბიუჯეტს და არა მარტო ბიუჯეტს. სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის ხელში ყველა საფინანსო ნაკადი, რაც კი ქვეყანაში ტრიალებს.

აი, ასეთი ხელისუფლება მდებს მე ბრალს საბჭოური ცხოვრების ნოსტალგიაში. არც ეს ტყუილი გაუვა, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ჩემი წარმატება სწორედ იმან განაპირობა, რომ საბჭოეთს მოეღო ბოლო.

**ეს ხელისუფლება მდებს ბრალს იმაში, რომ მე რუსეთის შემოყვანა მინდა. აი, ამას მაბრალებს მე ხელისუფლება და ამას გაჰკივიან მის მიერ დაგეშილი ადამიანები. მაგრამ სწორედ ამ ხელისუფლების მეთაურმა, სააკაშვილმა, თავისი უგუნური პოლიტიკით, უკვე შემოიყვანა რუსის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე, და ეს რომ ასეა, ამის დასტურია ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები, იქ მდგარი რუსეთის ჯარი და ასობით დაკარგული ქართული სოფელი.**

ჩვენ დავასრულებთ საქართველოში საბჭოეთის ეპოქას, ტყუილის ეპოქას! ელიტარული კორუფციის ეპოქას! უსამართლობისა და უნამუსობის ეპოქას! საქართველოში პატიოსნების დრო მოდის!

ჩვენს ქვეყანას დღეს ბევრი რამ სჭირდება, თუმცა არც იმდენი, რომ მისი წელში გამართვა ვერ შევძლოთ. პირველ რიგში, უნდა აღვადგინოთ წონასწორობა, რომელიც უკიდურესად დარღვეულია დღეს საქართველოს სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში.

**ჩემო ქართველებო! ყველანი ვხედავთ, რომ ჩვენი ქვეყანა სადაცაა თავზე დაგვექცევა. განსაკუთრებით აშკარაა ეს საფრთხე აქ, აჭარაში, და მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ბედი დღეს სწორედ აქ, აჭარაში, ბათუმში წყდება.**

ბათუმი ყოველთვის განსაკუთრებული ქალაქი იყო ყველა ჩვენგანისათვის, განსაკუთრებული კულტურის მქონე, ბათუმს თავისებური სული და განუმეორებელი ხიბლი ჰქონდა. ყველას ასეთი გვიყვარდა, თავისი არქიტექტურით, თავისი სისადავით.

დასანანია, რომ უდიდესი თანხა, რომელიც ხელისუფლებამ ბათუმში ახალ მშენებლობებზე დახარჯა, საბოლოოდ, არა იმდენად მოსახლეობის კეთილდღეობას ემსახურება, რამდენადაც ერთი კაცის კომფორტსა და პატივმოყვარეობას.

განა არ შეიძლება აშენო ისე, რომ ქალაქის მოსახლეობა არ დააზარალო, არ დააზიანო ბათუმის ისტორიული იერ-სახე და განუმეორებელი კოლორიტი, ტლანქად არ ჩაერიო ურბანულ სტრუქტურაში და პრიმიტიული, უგემოვნო მიმბაძველობის მაგალითები არ დაუტოვო შთამომავლობას?! განა არ შეიძლებოდა ეს საქმე მიგვენდო პროფესიონალებისთვის და ბათუმი ერთი კაცის ამბიციების და ფანტაზიების პოლიგონად არ გადაქცეულიყო?!

კარგია, თუ სადმე დიდი გზებია, მაგრამ წყალგაყვანილობა და კანალიზაცია რომ კვლავ მოუწესრიგებელია, წუხანდელმა წვიმამაც დაგვანახვა.

დასანანია, რომ უკონტროლოდ დახარჯულმა მილიონებმა, რომელიც ასეთ გაუაზრებელ და უსისტემო განაშენიანებას მოხმარდა, მოსახლეობას, თითოეულ თქვენგანს, ვერანაირი სარგებელი ვერ მოუტანა.

დანაშაულია, რომ საქართველოს ამ უძველესი და ულამაზესი კუთხისთვის ხელისუფლებამ ვერ მოიფიქრა სხვა ფუნქცია, კაზინოებისა და ნახევრად ლეგალური საროსკიპოების გარდა.

ბათუმში, როგორც ყველა ზღვისპირა ქალაქში, მრავალი ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანი ცხოვრობს; ასეა უკვე მრავალი წელი და არ ყოფილა მათ შორის არც ერთი დაპირისპირება, ან თუნდაც სულ მცირე გაუგებრობა ნაციონალურ ან რელიგიურ ნიადაგზე. ჩვენ ხომ ტოლერანტობას და მეგობრობას ვერავინ გვასწავლის.

მეგობრობის გარდა, ჩვენ კარგი მეზობლობაც ვიცით. თურქეთი ჩვენი მეზობელია, ნატოს წევრი ქვეყანაა. მასთან ჩვენ სტრატეგიული პარტნიორობა, კეთილმეზობლური ურთიერთობა გვაკავშირებს. ყველას გვახსოვს ის სიკეთე, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში თურქეთთან საზღვრის გახსნამ მოგვიტანა.

ამ ხელისუფლებამ, რომელიც თავისი ძალაუფლებისა და კეთილდღეობისთვის უკან არაფერზე იხევს, გაუგონარი ვითარება შექმნა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, აჭარაში. ხელისუფლება თავისი მოქალაქეების მიმართ აშკარად დისკრიმინაციულად მოქმედებს.

ინვესტიციების ხელშეწყობა ძალიან კარგია, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს საკუთარი მოქალაქეების ხარჯზე. არც ერთი თავმოყვარე სახელმწიფო ასე არ იქცევა, არც დასავლეთში და არც აღმოსავლეთში.

სამარცხვინოა ნებისმიერი ქვეყნისთვის, რომ მისი მაღალკვალიფიციური მოქალაქეები მეზობელ ქვეყანაში ლუკმა-პურისთვის გადახვეწილები, მათთვის შეუფერებელ, შავ სამუშაოს ასრულებენ წარმოუდგენლად მცირე ანაზღაურების ფასად.

**მაგრამ, კიდევ უფრო სამარცხვინოა, როდესაც შენი ქვეყნის მოქალაქეები სრულიად დაუმსახურებლად დისკრიმინაციულ მდგომარეობაში არიან აქ, მშობლიურ მიწაზე!**

ჩვენ შევცვლით შრომის კოდექსს ისე, რომ არც ერთ დამქირავებელს აღარ შეეძლოს დაქირავებულის უფლებების შელახვა. ჩვენ აღვადგენთ სამართლებრივ და უფლებრივ წონასწორობას დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის. ველარავინ გაბედავს ჩვენი მოქალაქის ან სტუმრის დაჩაგვრას და შეურაცხყოფას! ეს დამთავრდება! ამის სიტყვას მე გაძლევთ!

მე თავიდანვე გითხარით, რომ ამ უმსგავსობას ჩვენ უსათუოდ მოვუვლით, და რაც შეიძლება სწრაფად! გპირდებით!

უცნაური ქალაქია ბათუმი. ბათუმი წვიმას უყვარს. ასევე უყვარს ბათუმი მთელ საქართველოს... ეს არცაა გასაკვირი, საქართველო ხომ ზღვისპირა ქვეყანაა. ხოლო შავი ყავის სურნელით მთვრალი ბათუმი ჩვენი ზღვისპირეთის მთავარი ქალაქია. იგი ცრემლნარევი ღიმილია საქართველოს პირისახეზე!

თქვენ, ბათუმელებო, ამაყად და თავისუფლად ივლით ბათუმის ქუჩებში და თქვენ იქნებით ამ ქალაქის ბატონ-პატრონი, და არავინ იქნება თქვენი მეტოქე წვიმის გარდა...

აქვე ვახსენებ კიდევ ერთ გაუგებრობას, რომელშიც თქვენ ხელისუფლებამ გაგხვიათ. ხალხო, ჩვენ ხომ ვიცით, რომ რელიგიური შემწყნარებლობა ქართული ტრადიციის ერთ-ერთი საუკეთესო და უძველესი ნაწილია.

ვიცით ისიც, რომ აღმსარებლობის თავისუფლება ხელშეუხებელი უნდა იყოს სამართლიან და დემოკრატიულ სახელმწიფოში. ამიტომ მხოლოდ უნდა გვეამაყებოდეს ის, რომ ქრისტიანული ეკლესიების გვერდით საქართველოში დღეს მუსლიმანური მეჩეთები მოქმედებს.

**ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანებმა და მუსლიმანებმა ერთმანეთის გვერდით თანასწორად და ღირსეულად უნდა იცხოვრონ. მე ვიცი, რომ თქვენ არა მორიგი მეჩეთის აშენება გაწუხებთ, არამედ თქვენ გაშფოთებთ ჩვენი ხელისუფლების ძალიან საეჭვო ნაბიჯები. თორემ უცხო ქვეყნის მიწაზე მეჩეთის აშენებას, თუ რა ბედი ეწევა, ჩვენ, ამ ხელისუფლებისგან განსხვავებით, მართლაც გვადარდებს.**

**ამიტომ გპირდებით, რომ როცა ოქტომბრის არჩევნებში გავიმარჯვებთ, დაუყოვნებლივ გამოვარკვევთ და საზოგადოებას გავაცნობთ ყველაფერს, რაც ამ საკითხთან არის დაკავშირებული. შემდეგ კი თქვენთან ერთად გადავწყვეტთ საქმეს ისე, რომ ჩვენს ისტორიულ საგანძურსაც მიეხედოს და არც ჩვენი მოქალაქეების რეალური და კანონიერი მოთხოვნები დარჩეს უგულებელყოფილი.**

ჩემო მეგობრებო!

ოფიციალური მონაცემებით 2003 წლიდან დღემდე საქართველოში რვა-ნახევარი მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა. ეს ცოტა არ არის ჩვენისთანა ქვეყნისთვის.

ამ ინვესტიციას, წესით და კანონით, სულ მცირე 170 ათასი ახალი სამუშაო ადგილი უნდა შეექმნა 170 ათასი ჩვენი მოქალაქისთვის. **დაუჯერებელია, მაგრამ პირიქით მოხდა!**

ხალხო, თურმე, დღეს საქართველოში, საჯარო, ოფიციალური მონაცემებით, 150 ათასი ადამიანით ნაკლებია დასაქმებული, **150 ათასი ადამიანით ნაკლებს აქვს სამუშაო და სამსახური, ვიდრე 2003 წლის მიწურულს!**

ასეთი საგანგაშო ვითარება კი მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება შემოსულ მილიარდებს არ მოიხმარს დანიშნულების მიხედვით. ამ თანხის დიდი ნაწილი ელიტარული კორუფციის წყარო ხდება.

ჩვენ პირობას გაძლევთ, რომ შევქმნით ისეთ ბიზნესგარემოს, რომელიც რეალურად მიმზიდველს გახდის საქართველოს უცხოელი ინვესტორებისთვის და ინვესტიციები ერთი კაცის ახირებას კი არ მოხმარდება, არამედ თანაბრად და ჭკვიანურად განაწილდება, რათა შეიქმნას, რაც შეიძლება მეტი რეალური სამუშაო ადგილი.

ჩვენ ხელს შევუწყობთ ისეთი ახალი საწარმოების გახსნას, სადაც დასაქმებული ადამიანები პატიოსანი შრომით შეძლებენ ღირსეულად ცხოვრებას.

ხალხნო, საქართველო ზღვისპირა სახელმწიფოა და ასეთ ბუნებრივ რესურსებს ნებისმიერი ქვეყანა გონივრულად გამოიყენებდა ეკონომიკის განვითარებისთვის.

ჩვენს ქვეყანასაც ჰქონდა საზღვაო ფლოტი, მართალია, არც ისე კარგი, მაგრამ შეიძლებოდა მისი გაუმჯობესება და რეფორმირება.

ამ ხელისუფლებამ მოახერხა და ნაცვლად იმისა, რომ მდგომარეობა გამოესწორებინა, მთლიანად წყალს გაატანა ქართული სანაოსნო.

**15 გემი გაასხვისა მიზერულ ფასად - 90 მილიონ დოლარად, მაშინ როცა მყიდველმა კომპანიამ ამ გემებიდან 2 გემი ერთი წლის შემდეგ 80 მილიონ დოლარად გაყიდა. ანუ სახელმწიფომ თითქმის მთელი ფლოტი — 15 გემი — მხოლოდ 2 გემის ფასად გაყიდა.**

ჩვენს მეზღვაურებს არაფერი შეეხებათო, გვპირდებოდა ხელისუფლება და ამის საბუთად მეზღვაურთა დასაქმების 12-წლიანი ვალდებულება მოჰქონდა.

მაგრამ ისე მოხდა, რომ კომპანია 5 წელიწადში გაკოტრდა და ყველა იქ მომუშავე ადამიანი უსამსახუროდ დარჩა.

გარდა იმისა, რომ ხელისუფლება არ დაინტერესებულა თავისი მოქალაქეების ბედით, ჩვენს ქვეყანას ფლოტის გარეშე დარჩენის საფრთხე ემუქრება. ასე ექცევა სააკაშვილის ხელისუფლება თავის ხალხსა და ქვეყანას.

ჩვენ ვიცით, რომ მეზღვაურობა ბათუმელებისთვის პრესტიჟულ, საამაყო, და ამავე დროს შემოსავლიან პროფესიად ითვლება, რადგან ზღვაოსნობას აქ დიდი ტრადიცია აქვს. ქართველ მეზღვაურებს უცხოეთში ყოველთვის კარგი სახელი ჰქონდათ.

**ჩვენ, „ქართული ოცნება“, აუცილებლად აღვადგენთ ნაოსნობის ტრადიციას, ფლოტის გადარჩენითა და განვითარებით გაჩნდება ასეულობით სამუშაო ადგილი და ბევრი ჩვენი მოქალაქე დაიბრუნებს თავის პროფესიას.**

უმუშევრობა რომ მძვინვარებს, სოფელი რომ მისახედია, და ადამიანის ჯანმრთელობა რომ მთავარია, ამაზე მხოლოდ ახლა, არჩევნების წინ ალაპარაკდა ხელისუფლება.

თურმე ამჟამინდელ ხელისუფლებას ჯანდაცვა არ ეგულება თქვენთვის, თურმე სახელმწიფოს მოვალეობა ადამიანზე ზრუნვას გამორიცხავს.

ასე უტიფრად გვატყუებენ, მაგრამ ჩვენს ხალხს მოთმინების ფიალა უკვე აევსო. სწორედ ამას დაადასტურებს ხალხი არჩევნებზე, 1-ელ ოქტომბერს დაადასტურებს, რომ ტყუილს სიმართლე ურჩევნია და გაჭირვებას — კეთილდღეობა! მე მჯერა ამის, მე მჯერა ჩვენი ხალხის და ამიტომ ვიდექი პოლიტიკაში!

ქვეყნის წელში გამართვა, ქვეყნის წარმატების

პირამდე მიყვანა ამ ხელისუფლებამ, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის სრული უგულებელყოფით მოახერხა. აბა სხვა რა შეიძლება უწოდო, პირდაპირ ვიტყვი – იმ ავკაცობას, რომელიც ხელისუფლებამ ქართული სოფლის მიმართ ჩაიდინა.

სოფლებში არ არის გზა, არ არის სასმელი წყალი, არ არის გაზი. გლეხს არ გააჩნია შრომის სათანადო იარაღი და, შესაბამისად, უკიდურეს გაჭირვებაში უწევს ცხოვრება.

**აჭარაში შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ციტრუსია. თქვენ თავდაუზოგავად შრომობთ, მაგრამ ამ შრომის შესატყვისი შემოსავალი არ გაქვთ. ჩვენ დავკარგეთ გასაღების ბაზარი და არაფერი ვიღონეთ იმისთვის, რომ ახალი ბაზარი გამოგვენახა.**

**აჭარაში ციტრუსის მოსავალი გაუსაღებელი რჩება, ან ისეთ ფასად იყიდება, ტრანსპორტირების ხარჯსაც რომ ვერ ანაზღაურებს.**

**ჩვენ გამოვნახავთ ახალ ბაზრებს და რუსულ ბაზარსაც დავიბრუნებთ.**

სოფლებში გლეხების უმეტესობა გაღატაკდა და ამიტომ ყველა გაქცევაზეა. უცხოეთში გადადიან და იქ მუშაობენ კაპიკებად, რათა ოჯახი როგორმე გამოკვებონ.

აი, ამ დღეში ჩააგდო ხელისუფლებამ ჩვენი ამაყი ხალხი, ასე დააბეჩავა! კაცს თავისი ნაყოფიერი მიწა-წყალი მოუვლელი აქვს და უცხოეთში ლამის ყმად უდგება დამქირავებელს. ეს უნდა შეწყდეს! ჩვენ დავასრულებთ ასეთ ყოფას!

სწორედ ამიტომ, „ქართულ ოცნებას" დაგეგმილი აქვს, აალორძინოს ქართული სოფელი და ამისათვის შექმნას ერთმილიარდიანი ფონდი.

**ჩვენ შევცვლით ახლანდელ პოლიტიკას და ქართულ სოფელს თავის მთავარ ფუნქციას დავუბრუნებთ – სოფელმა ქვეყანა უნდა გამოკვებოს. ქართულ ბაზარზე დაბრუნდება ჩვენს მიწაზე მოყვანილი მოსავალი.**

**ჩვენ ხელს შევუწყობთ ხულოში, შუახევსა და ქედაში ისეთი ტრადიციული დარგების აღორძინებას, როგორიცაა მეთამბაქოეობა, მეფუტკრეობა, მეხილეობა და მესაქონლეობა.**

ხელისუფლების დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო ზღვის ქვეყანაში თევზის რეწვა ჩვენი მოქალაქეებისთვის ხელმიუწვდომელია. დღეს ეს დარგი მთლიანად მონოპოლიზებულია.

**ჩვენ დავამყარებთ სამართლიან და კონკურენტულ გარემოს, რითაც ხელს შევუწყობთ ამ მომგებიანი დარგის განვითარებას, სრულ ციკლს ავაწყობთ თევზის ჭერიდან მის საბოლოო გადამუშავებამდე და ამით შეიქმნება რეალური სამუშაო ადგილები.**

**ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე ახლა მთელ მსოფლიოში უდიდესი მოთხოვნილებაა. ამიტომ ჩვენ დავნერგავთ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ჩვენი სურსათით უცხოურ ბაზარზეც თამამად და წარმატებით გავალთ.**

ჩვენ გვჯერა და გპირდებით, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინება შვებას მოუტანს ყოველ ადამიანს, ყოველ ოჯახს, შეიქმნება გადამამუშავებელი საწარმოები და გაჩნდება ათეულობით ათასი სამუშაო ადგილი.

ერთ ჩემს შეხედულებას მოგახსენებთ, რომელსაც, იმედი მაქვს, უმრავლესობა იზიარებს. თუ მართლაც განვითარებულ და არა ჩამორჩენილ ქვეყნად გვინდა ჩამოვყალიბდეთ, ჩვენ უნდა შევქმნათ და განვავითაროთ უმაღლესი რანგის საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები, ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, და, ამასთანავე, მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, სადაც თქვენ და თქვენი შვილები სიამოვნებით იმუშავებთ.

ჩვენ ხომ სწორედ ამ, 21-ე, საუკუნეში ვაპირებთ ღირსეული ადგილის მოპოვებას და დამკვიდრებას.

გახსოვთ ალბათ, ამას წინათ, ბათუმელებს სააკაშვილი ევროპაში ყველაზე მაღალ – 40-სართულიან უნივერსიტეტს დაჰპირდა – 35-ე სართულზე ეშმაკის ბორბლით, კაფე-ბარებით და ბიბლიოთეკით. ტელეკამერების წინ სპეციალურად შექმნილი დეკორაციიდან ახალგაზრდებს მოუწოდა, ყავის ჭიქით და წიგნით ეშმაკის ბორბალზე მოკალათებულებმა იმეცადინეთო.

**აი, ასე დასცინის სააკაშვილი ახალგაზრდებს, რომელთა უმრავლესობისთვის უმაღლესი განათლების მიღება ფინანსურად მიუწვდომელია, მრავალ სტუდენტს კი სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, რადგან გადასახადებს ვერ იხდის.**

**სააკაშვილს ისე უჭირავს თავი, თითქოს ბათუმში არ იყო, ხელისუფლება რომ დაერია ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებს, როცა აუდიტორიებში ცრემლსადენი გაზი გაუშვეს.**

**2007 წლის 8 ნოემბრიდან უკვე 5 წელი გადის, მაგრამ ამ ახალგაზრდებისთვის ბოდიშიც კი არავის მოუხდია, ვითომც არაფერი მომხდარა, და ახლა ეშმაკის ბორბლით უნდათ თავბრუ დაახვიონ.**

ჩვენ განათლება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გვაქვს გამოცხადებული. ამ ხელისუფლებამ ბევრ სოფელში დახურა სკოლა და საბავშვო ბაღი, ეს განსაკუთრებით მწვავედ მაღალმთიან რაიონებში იგრძნობა.

ჩვენ ყველა სოფელში აღვადგენთ სკოლას, ყველა ბავშვს მიეცემა განათლების მიღების საშუალება და აღარ მოუწევთ სკოლამდე სოფელ-სოფელ სიარული. მშობლებს კი აღარ გაუჭირდებათ სახელმძღვანელოების შეძენა.

დღეს ყველაზე უუფლებო და დამცირებული მასწავლებლები არიან. გარდა იმისა, რომ მათგან ხელისუფლება, არჩევნებში თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სრულ მორჩილებას და მსახურებას მოითხოვს, მათი უფროსია ყველა – სამინისტრო, დირექტორი, მანდატური, და ხშირად, მშობელიც კი. მასწავლებლის ავტორიტეტი მთლიანად დაკნინებულია.

**მასწავლებლებო, ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. თქვენმა უმრავლესობამ მაინც მოახერხა და ამ მძიმე დროს არაფერი დაიშურა, რათა სათანადო ცოდნა მიეცა ბავშვებისთვის. მაგრამ მასწავლებლის უპირველესი დანიშნულება ხომ ისაა, რომ თავისუფალი პიროვნება აღზარდოს, თავისუფალი მოქალაქეები აღუზარდოს თავისუფალ ქვეყანას.**

დღევანდელი ხელისუფლება კი თქვენგან სხვას მოითხოვს – მორჩილებას! დაშინებული მასწავლებელი თავისუფალ მოქალაქეს ვერ აღზრდის. მასწავლებლებო, შეასრულეთ თქვენი მთავარი მოვალეობა და ნუღარ ჩაუდგებით ხელისუფლებას დამამცირებელ სამსახურში, ნუ მისცემთ არჩევნების გაყალბებაში თქვენი გამოყენების საშუალებას, ნუ მისცემთ უფლებას თქვენზე იბატონოს!!! მასწავლებლებო, გათავისუფლდით!

**ჩვენ დაგიცავთ, დაგიცავთ ყველას, თითოეულ თქვენგანს. ნუ შეგეშინდებათ! თქვენი სინდისის კარნახს მიჰყევით და აჩვენეთ თქვენს მოსწავლეებს, რომ თავისუფლება და ღირსება უმთავრესია ადამიანის ცხოვრებაში!**

დამეთანხმებით, რომ ჯანდაცვის საქმე თუ არ მოგვარდა, აღარაფერს აზრი არ ექნება.

ყველამ ვიცით, რა მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ. თუმცა სააკაშვილი სპექტაკლებს დგამს და საავადმყოფოებს საზეიმოდ ხსნის. ჩაქვშიც ხომ გახსნა ასეთი საავადმყოფო, რომელსაც, როგორც აღმოჩნდა, ამ დრომდე არა აქვს ლიცენზია და ვერც ერთ პაციენტს ვერ იღებს. ბათუმში გადაყვანისას კი არაერთი ავადმყოფი გზაში გარდაიცვალათ. ეს უნდა დამთავრდეს!



ჩვენ ნამდვილად ვიზრუნებთ ყველა მოქალაქის ჯანმრთელობაზე. სახელმწიფო აიღებს თავის თავზე ვალდებულებას და ყოველი მოქალაქის ჯანმრთელობას დაიცავს. ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნებში ჩვენი გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ყოველ მოქალაქეს ექნება ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი!

**ჩვენ მივხედავთ თქვენს ჯანდაცვას!**

შუა ზაფხულში, თანაც აჭარაში, აუცილებლად უნდა შევეხო თქვენთვის უაღრესად მნიშვნელოვან – ტურიზმის თემას.

ტურიზმი აჭარის მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

რამდენიმე წლის წინათ სანაპირო ზოლში მცხოვრები მოსახლეობა ენდო ხელისუფლებას და დაიჯერა, რომ საქართველოში მილიონობით ტურისტი ჩამოვიდოდა. ადამიანებმა კერძო სასტუმროებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ბანკებიდან მაშინვე აიღეს სესხი, რომლისთვისაც იპოთეკით დატვირთეს თავიანთი სახლები.

დღეს აქ, ალბათ, ისინიც არიან, ვინც ამ სფეროში ხელისუფლების უგუნური, ზერელე პოლიტიკის გამო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. როგორც ყოველთვის, ხელისუფლებამ, მაშინაც მოატყუა ხალხი. მილიონობით ტურისტი არსად ჩანდა, და ჩვენი მოქალაქეებიც მალე მევალე ბანკების პირისპირ დარჩნენ. იპოთეკით დატვირთული მაშინდელი სესხების გამო ბევრმა უკვე დაკარგა სახლ-კარი, ბევრსაც ახლა ემუქრება სახლებიდან გამოყრა.

**ჩვენ სწორი ეკონომიკური პოლიტიკით, ნამდვილად შევძლებთ იმას, რომ საბანკო პროცენტი მკვეთრად შემცირდება, შესაბამისად, ადამიანებს კიდევ ექნებათ შანსი, რათა ხელი მიჰყონ პერსპექტიულ ბიზნესს, რომელიც მათ საშუალებას მისცემს ბანკთანაც გაასწორონ ანგარიში, ბიზნესიც განავითარონ და დამოუკიდებელი, ღირსეული ცხოვრების საშუალებაც მოიპოვონ.**

**ჩვენ, „ქართული ოცნება", ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, აუცილებლად შევუწყობთ ხელს ტურიზმის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას და აუცილებლად დავეხმარებით ჩვენს მოქალაქეებს მომსახურების ხარისხის ამაღლებაში.**

რა თქმა უნდა, ზღვის სეზონი საქართველოში 12-თვიანი ვერასოდეს იქნება, მაგრამ ისტორიისა და კულტურის ძეგლები და ბუნებრივი ლანდშაფტი იმის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა, რომ სწორად წარმართული ტურიზმი არა მარტო ზაფხულის 2 თვის, არამედ მთელი წლის განმავლობაში ხალხის და სახელმწიფოს შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყოს.

**აჭარაში მიწის მფლობელობის საკითხი რომ მოსაგვარებელია, ამ ხელისუფლებას მარტო არჩევნების წინ ახსენდება. წინასაარჩევნოდ ხალხს გულუხვად ურიგებს მიწებს საკუთრებაში, ხოლო, როგორც კი არჩევნები ჩაივლის, – უტიფრად ართმევს.**

ახლაც დაიწყეს მიწების ჩამორიგება, მაგრამ ამ ანკესს უკვე აღარავინ წამოეგება. ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში და მიწის სამართლიან რეფორმას ჩავატარებთ. ერთხელ და სამუდამოდ მიწა დაუკანონდება ჩვენს მოქალაქეებს და მათ საკუთრებას ვეღარავინ შეეხება. ხელისუფლება მდინარე ჭოროხზე, მაჭახელასა და აჭარისწყალზე გიგანტური ჰესების მშენებლობას გეგმავს და ეს გადაწყვეტილებაც ისევე ნაჩქარევად და გაუაზრებლად აქვს მიღებული, როგორც საერთოდ სჩვევია.

ჰესების მშენებლობის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ეს მოსახლეობამ სპეციალისტებთან ერთად უნდა გადაწყვიტოს, რადგან ასეთი ჰესების მშენებლობას უამრავი პრობლემა და რისკი სდევს თან, იქნება ეს ეკოლოგიური თუ მიგრაციული.

ეკოლოგიური ვითარება მთიან აჭარაში უამისოდაც უმძიმესია. სულ უფრო იზრდება ეკომიგრანტთა რაოდენობა, რომელთა ბედს ხელისუფლება ისე სახელდახელოდ და ნაუცბათევად წყვეტს, აზრადაც არ მოსდის, რომ ადამიანები კი არ უნდა მოწყვიტოს საკუთარ ფესვებს და გადაასახლოს, არამედ მშობლიურ კუთხეში დაასახლოს.

**ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ და გამოვნახავთ საშუალებას, რომ აჭარის მკვიდრი აჭარაშივე დარჩეს. მე ამას გპირდებით!!!**

დღეს ერთი ადამიანი წყვეტს ყველაფერს ჩვენი ქვეყნის ყველა სოფელში, ყველა ქალაქში, ყველა რეგიონში, ავტონომიურ რესპუბლიკაშიც კი. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ყველგან ერთი კაცის – სააკაშვილის სურვილებს ემორჩილებიან და მისი ახირებების უსიტყვო შემსრულებლები არიან.

**ჩვენ, „ქართული ოცნება", გპირდებით თქვენ, აჭარის მკვიდრნო, რომ თქვენ თბილისიდან ვეღარავინ მოგახვევთ თავს თავის ნება-სურვილს, თქვენ თავად გადაწყვეტთ ყველა საკითხს თქვენსავე ქალაქში, რაიონში, სოფელში. ჩვენ ამას გპირდებით!**

ახლა მინდა შევეხო ჯარიმების თემას. ვიცი, რომ ბევრ ჩვენს მოქალაქეს დაკისრებული ჯარიმები დიდ თავსატეხად ექცა. ეს ხელისუფლება სულ იმას გვაყვედრის, რომ ევროპულ სტანდარტებს ვართ მიახლოებული. ამ შემთხვევაში დავეთანხმები მათ, **დიახ, რაც ნამდვილად ევროპული გვაქვს, ეს გადასახადები და ჯარიმებია.** მაგრამ, ვის სთხოვენ ასეთ გადასახადებს და ჯარიმებს? სთხოვენ იმ მოსახლეობას, რომელიც უგუნური და მტაცებლური პოლიტიკით გაალატაკეს და წელში გატეხეს, უზომოდ დიდ ჯარიმებს ახდევინებენ ადამიანს, რომელიც დილით ლუკმაპურის საშოვნელად გამოსული, საღამოს ხშირად ხელცარიელი და სასოწარკვეთილი ბრუნდება შინ.

მეტიც, ადამიანს იმის საშუალებაც კი მოუსპეს, რომ, თუ დაკისრებული ჯარიმა უსამართლოდ მიაჩნია, სასამართლოში გაასაჩივროს. გასაჩივრება მომჩივანს კიდევ უფრო ძვირი უჯდება. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სამართლის პოვნის იმედი უკვე აღარავის აქვს.

ხშირად ადამიანი დროულად ვერ იხდის ჯარიმას, ამიტომ ჯარიმას გადაუხდელობის პროცენტები ემატება და საბოლოოდ ისეთ თანხას აღწევს, სახლ-კარის გაყიდვაც აღარ შველის საქმეს. აღარაფერს ვამბობ იმ ჯარიმებზე, რომლებიც ჩვენს მხარდამჭერებს დააკისრეს ამ რამდენიმე დღის წინ. ეს აბსურდი უნდა დამთავრდეს!

ჩვენ სასწაულს ვერ მოვახდენთ, მაგრამ დავამყარებთ სამართლიანობას ჯარიმებსა და გადახდის რეალურ შესაძლებლობას შორის. სამართლიანობის აღდგენას დავიწყებთ ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან, გპირდებით!

**ჩვენ პენსიებსაც გადავხედავთ და საარსებო მინიმუმსაც და ეს ციფრები ხალხის სასარგებლოდ შეიცვლება.**

**ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, სიტყვას გაძლევთ!**

ბოლოს მინდა შევეხო იმ სტიქიურ უბედურებას, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ დაატყდა თავს კახეთს, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთს.

**მე მინდოდა, დავხმარებოდი ჩემს ხალხს, მაგრამ როგორც იცით, ამ ხელისუფლებამ ყველა გზა მომიჭრა ადამიანების დახმარებისთვის. არადა, ახლა ხალხს რეალური და სასწრაფო დახმარება სჭირდება.**

ამიტომ მე გამოვნახე კანონიერი გზა დაზარალებულთა დახმარებისთვის. ის მრავალმილიონიანი ჯარიმა, რომელიც სახელმწიფომ უკანონოდ დამაკისრა - 80 მილიონი ლარი - გადავრიცხე სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

ჩვენ შევამოწმებთ ხელისუფლების ყველა ნაბიჯს, აღვწერთ ზარალს და ვპირდებით ყველას, რომ ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ არც ერთი ადამიანი არ დარჩება რეალური დახმარების გარეშე.

**შემოდგომიდან ჩვენ ვიქნებით ის ხელისუფლება, რომელიც რეალურად იზრუნებს ხალხზე, საქმეს გააკეთებს და არაფერს დააყვედრებს თავის მოქალაქეებს, რადგან ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ხელისუფლება ხალხს უნდა ემსახუროს და არა - ხალხი ხელისუფლებას.**

**ჩვენი ხელისუფლება ისე იცხოვრებს, როგორც ჩვენი ხალხი ცხოვრობს, მე ამას გპირდებით! ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება გათავხედებული ჩინოვნიკების თარეში, ხელისუფლებაში ყოფნა უდიდესი პასუხისმგებლობა იქნება და არა თანამდებობითა და ძალაუფლებით ტკბობა! მე ამას გპირდებით, და სიტყვას გაძლევთ , რომ შევძლებთ!**

**მე და თქვენ ერთად შევძლებთ და, ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ქვეყანას!!!**

**ღირსებას დავუბრუნებთ ჩვენს ხალხს!!!**

**ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას!!!**

**ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც არავის დასჭირდება ლუკმაპურის საშოვნელად სამშობლოდან გადახვეწა.**

**საქართველოში დაცული იქნება ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება; სასამართლო იქნება სამართლიანი, მედია – დამოუკიდებელი, ბიზნესი – ხელშეუხებელი!**

**ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, სადაც ჩვენს საამაყო ჯარისკაცებსა და პოლიციელებს მიეცემათ იმის შესაძლებლობა, რომ ღირსეულად ემსახურონ სახელმწიფოს და არა რომელიმე ხელისუფალს!!!**

**თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში! მე ამას გპირდებით!!!**

**ქართველები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბერძნები და სხვები ისეთ ქვეყანას ავაშენებთ, რომელიც სამშობლო იქნება ყველასთვის!**

**საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყანა, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი!**

**მე და თქვენ ერთად შევძლებთ და არჩევნებით შევცვლით ამ ხელისუფლებას!!!**

**და ამას ყველაფერს თქვენ შეძლებთ, მე და თქვენ ერთად შევძლებთ, და წინ ჩვენ ვერაფერი დაგვიდგება! ძალა ჩვენს ერთობაშია!!!**

**ამ ბრძოლაში ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით! მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ ბრძოლას!**

**ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!**

# ბათუმის აქციაზე, თავსხმა წვიმაში 50-დან 60 000 ადამიანი ფეხმოუცვლელად იდგა

**ბათუმში „ქართული ოცნების“ ინიციატივით გამართული აქცია, მონაწილეთა რაოდენობითა და მუხტით თბილისის აქციას არ ჩამოუვარდებოდა. ე.წ. ანბანის კოშკთან, კოკისპირულ წვიმაში 50 000-დან 60 000 ადამიანამდე იყო შეკრებილი (შესაძლებელია მეტიც, მაგრამ ნაკლები არა).**

სხვა ქალაქებში გამართული ღონისძიებების მსგავსად, სასულიერო პირები ბათუმის აქციაშიც მონაწილეობდნენ, ზოგიერთ მათგანს „ქართული ოცნების“ ლურჯი ფერის ყელსახვევები ჰ ქონდა მოხვეული. აქციის მონაწილეთა უმეტესობა ქოლგების გარეშე იდგა.

მიტინგს ბიძინა ივანიშვილი უძღვებოდა. სიტყვებით გამოვიდნენ ყოფილი რესპუბლიკელები და ამჟამად „ქართული ოცნების“ ბათუმის ორგანიზაციის წევრები – იურისტი მედეა ვასაძე და მხატვარი კაკო ძნელაძე; „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მთაწმინდის რაიონში, მსახიობი ზაზა პაპუაშვილი და „თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე სულხან ღლონტი. როგორც ბათუმელები იტყვიან, სეფე სიტყვა ბიძინა ივანიშვილმა თქვა.

„ანბანის კოშკთან“ რომ მივედი, შვიდის 15 წუთი იყო. დაახლოებით 20 000 ადამიანი იყო შეკრებილი. შვიდ საათზე დანიშნული აქცია რვის ათ წუთზე დაიწყო. ბათუმელი ქალბატონები თეთრი ყელსახვევებით იყვნენ მოსულები. ხელში ეჭირათ პლაკატი - „ქალთა ლაშქარი საქართველოს გადასარჩენად“. სვეტლანა კუდბამ და გულიკო გაბაიძემ განმიმარტეს, რომ ორგანიზაცია გასულ წელს დარეგისტრირდა და მისი მიზანი არის ქვეყნის გადასარჩენად დაუღალავი ბრძოლა.

როგორც „ქართული ოცნების“ ხულოს რაიონის შტაბის უფროსმა გურამ ხოზრევანიძემ მითხრა, ხულოდან ჩამოვიდა ხალხით სავსე 30 მიკროავტობუსი და 8 მსუბუქი მანქანა.



ბათუმის აქცია რამდენიმე წუთის დაწყებული იყო, წვიმა რომ წამოვიდა. ამ რეპორტაჟისთვის საინტერესო მომენტებს ბლოკნოტში ვინიშნავდი და რადგან ქოლგა არ მქონდა, 2-3 წუთით ხან ვის შევეფარებოდი და ხან ვის. ბათუმელები და სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული ადამიანები ძალიან წუხდნენ წინა დღით ბეშუმში მომხდარი ინციდენტის გამო - „ხულოელებს იმხელა შეურაცხყოფა მიაყენა, წასულია მაგის საქმე. მარტო მაგენი ეყოფა, გალახავენ სადმე სააკაშვილს... მაღალმთიან აჭარაში სტუმრის პატივისცემა განსაკუთრებით იციან, თავად შევიწროვდებიან და სტუმარს ცალკე ოთახს უთმობენ, თვითონ მოიკლებენ და სტუმარს მიართმევენ. ამიტომ, ბეშუმში მომხდარი ამბავი იქაური ხალხისთვის დიდ სირცხვილად ითვლება“.

აქციის მონაწილეები ხელებს შლიდნენ, როცა ხედავდნენ კოკისპირულ წვიმაში, როგორ მოდიოდა და მოდიოდა ხალხი. ერთმა შუახანს გადაცილებულმა კაცმა მითხრა, არ მეგონა ამდენი ხალხი თუ მოვიდოდაო. რატომ-მეთქი და „იმიტომ, რომ ყველა თხილის საკრეფადაა თურქეთში გადასული, რომ ზამთარში შიმშილით არ დაიხოცონ. მე სოფელ წინსვლაში ვცხოვრობ და იქ ახლა ექვსი კაცია დარჩენილი, ყველა თხილის საკრეფადაა გადასული“.

ბეშუმიდან ჩამოსულებისგან შევიტყვე, რომ მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილს მისმა ერთ-ერთმა ქვეშევრდომმა, ირმა ნადირაშვილმა შეატყობინა, რომ ივანიშვილი თანხმლებ პირებთან ერთად მათ უახლოვდებოდა, სააკაშვილმა სიტყვა შეწყვიტა და იქვე, ბეშუმში, ვარშალომიძის „ქოხისკენ“ სტუმრად გაემართა, ოღონდ მანქანით გადაადგილება ვერ გაბედა, ვერტმფრენით გადაფრინდა. არ გეგონოთ რომ ბევრი იფრინა, ჰაერში ერთი წუთიც არ ყოფილა.

ახლა, ტრადიციულად იმ ცნობილი ადამიანების გვარებს ჩამოვთვლი, ვისი დანახვაც ბათუმის აქციაზე შევძელი:

ლაშა ჩხარტიშვილი, დათო ბერძენიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ირაკლი ალასანია, ადა მარშანია, ირაკლი ჩიქოვანი, გოგა ხაინდრავა, თემურ ნანეიშვილი, ზაზა ფირალიშვილი, მანანა კობახიძე, გია ცაგარეიშვილი, მანანა დუმბაძე, სოზარ სუბარი, ია მეტრეველი, ირმა ინაშვილი, სოსო მანჯავიძე, არჩილ ლეკიშვილი, მერაბ ჭიჭაშვილი, დავით თარხან-მოურავი, ირაკლი სესიაშვილი, ირაკლი ქადაგიშვილი, სანდრო ბრეგაძე, პაატა ზაქარეიშვილი, გია აბესალაშვილი, ნანა და ლილი ხურითები, დიმა ჯაიანი, ბიძინა გუჯაბიძე, მამუკა გიორგაძე, ლანა ღოღობერიძე, „ქართული ხმების“ პირველი თაობა.

აქციაში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ერთ-ერთ მომიტინგეს კითხვა რომ დავუსვი, პასუხად მომიგო – „ასლან ბაბუ რომ მიდიოდა, მაშინ არ იყო ამდენი ხალხი და მიხვდი ახლა რა ხდებაო“.

აქციის დაწყებამდე დროშებიანი მანქანებით დაქროდნენ და ხალხს აქციის დაწყების შესახებ ახსენებდნენ. ფეხით მოსიარულეთა შორის მრავლად იყვნენ „ქართული ოცნების“ მაისურებიანი ადამიანები. ბავშვებს და ახალგაზრდებს ხელში „ოცნების“ დროშები ეჭირათ. ბათუმის შესასვლელში „ქართული ოცნების“ ის აქტივისტები იდგნენ, რომლებიც ამგვარი ღონისძიებების დროს წესრიგის დაცვას ხელს უწყობენ ხოლმე. ეს მიკროავტობუსიდან დავინახე. მძღოლის გვერდით ვიჯექი, რომელმაც თქვა – „ხედავთ რა განწყობაა?! დამთავრებულია მიშას საქმე“.

ცხრის ნახევარზე კოკისპირული წვიმა თავსხმაში გადაიზარდა. ბიძინა ივანიშვილი ამ დროს ჯარიმების შესახებ დინჯად და აუჩქარებლად საუბრობდა. ისინი, ვინც უქოლგოდ ვიყავით, იძულებულები გავხდით წამოვსულიყავით, რადგან ისეთი თავსხმა იყო, გეგონებოდა ციდან წყალს გობით ასხამდნენ.

**P. S. „ქართული ოცნების“ ბათუმის ოფისში, გუშინ, 15 საათზე გამართულ ბრიფინგზე ცნობილი გახდა, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის ერთ-ერთი მრჩეველი ბაჩუკი ჩხაიძე „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა.**

**ნინო მიქიაშვილი,**
**ბათუმიდან.**

## ◎ უცხოური გაზეთებიდან

### ბიძინა ივანიშვილი:
# როგორ ავაშენებდი მშვიდობას კავკასიაში

**8 აგვისტოს მეოთხე წლისთავი სრულდება იმ ხანმოკლე, მაგრამ სისხლიანი ომის დაწყების დღიდან რუსეთს და საქართველოს შორის, რომელსაც რუსების მიერ ჩემი ქვეყნის, საქართველოს, ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაცია მოჰყვა. საუბედუროდ, გასულმა წლებმა მშვიდობის მიღწევა უფრო რეალურ პერსპექტივად ვერ აქცია. რეგიონში, რომელიც ცდილობს 21-ე საუკუნის გამოწვევებთან გამკლავებას მე-19 საუკუნის ინსტიტუტებით, რომლის ფესვებიც მე-16 საუკუნის კონფლიქტებშია, დაძაბულობა იზრდება.**

რატომ უნდა აღელვებდეს ეს ვინმეს რეგიონს მიღმა? ეს კონფლიქტი ემუქრება ევროპისა და შეერთებული შტატების მზარდ ინტერესებს კავკასიასა და შუა აზიაში. ჩვენ დიდი ხანია, რაც აღარ ვართ იზოლირებული მთიანი ფორპოსტი. ჩვენი სტრატეგიული მდებარეობა გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ცენტრალური როლი ვითამაშოთ რუსეთის და შუა აზიის ახალ ურთიერთობებში ირანთან, თურქეთთან და დასავლეთთან. სერიოზული რყევები რეგიონში შეიძლება აისახოს ენერგომომარაგებაზე და არამხოლოდ მასზე.

რუსეთი განაგრძობს ისტორიული წინააღმდეგობების გამწვავებას, ცდილობს რა წონასწორობა დააკარგვინოს ისეთ ქვეყნებს, როგორიც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანია. სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელი მთავრობა ვლადიმერ პუტინის წისქვილზე ასხამს წყალს. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამწვავებს სიტუაციას, როდესაც უსაფრთხოების პრობლემებზე წარსულის ტერმინებით ლაპარაკობს – მაგალითად, მან განაცხადა, რომ დაანგრევს „ახალ ბერლინის კედელს“ საქართველოს და რუსეთს შორის.

საბედნიეროდ, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველო შეძლებს მთავრობის შეცვლას. თუკი ჩემს კოალიციას „ქართულ ოცნებას“ აირჩევენ, ის უარს იტყვის ცივი ომის რიტორიკაზე და ყველაფერს გააკეთებს ჩვენს რეგიონში ფეთქებადსაშიში სიტუაციის რეალური მიზეზების აღმოსაფხვრელად.

პირველ რიგში, ჩვენ კონცენტრაციას მოვახდენთ დემოკრატიაზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა შესანიშნავად აღნიშნა ივნისში ჩემს ქვეყანაში ვიზიტის დროს: „კეთილდღეობა და უსაფრთხოება საქართველოში გრძელვადიან პერსპექტივაში დიდწილად დამოკიდებული იქნება თქვენი დემოკრატიის ხარისხზე“.

საქართველოში არ არის ქმედითი სამოქალაქო საზოგადოება. ჩვენ სიმძიმედ გვაწევს სწორედ ის ერთპარტიული ავტორიტარული მოდელი, რომელმაც ასეთი დამღუპველი როლი ითამაშა სხვა პოსტსაბჭოთა საზოგადოებებისთვის. წარსულში სუსტ და დანაწევრებულ ოპოზიციურ მოძრაობებს სასტიკად ახშობდნენ. ამიტომ, მე, როგორც კერძო მოქალაქე, დავეხმარე ექვს პარტიას ძალების გაერთიანებაში კოალიცია „ქართული ოცნების“ ფარგლებში. როგორც უკანასკნელი კვლევები ცხადყოფს, ოქტომბრის არჩევნებში ჩვენი კოალიცია შეძლებს თანაბარი კონკურენციის გაწევას მთავრობისთვის. თუკი არჩევნები სამართლიანი იქნება, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. დემოკრატია იზეიმებს.

„ქართული ოცნება“ დასავლეთთან მჭიდრო პარტნიორობის მიღწევას გეგმავს. ჩვენ ვაღიარებთ დასავლური ფასეულობების მნიშვნელობას. ჩვენ ვაპირებთ, გავხდეთ ევროპული და ატლანტიკური სტრუქტურების განუყოფელი ნაწილი. მოქმედი ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მას სურს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლება, ჩვენ ამისკენ მივისწრაფვით. ჩვენ ვაპირებთ ჩვენს მეგობრებთან თანამშრომლობას საქართველოს ძლიერი თავდაცვითი ძალების მშენებლობის საქმეში.

თუმცა, ამ მთავრობასთან საერთო სხვა არაფერი გვაქვს. ჩვენ რეალურად ვაფასებთ საქართველოს შესაძლებლობებს; არ დავიწყებთ იარაღის ჟღარუნს და ვაღიარებთ, რომ საქართველო პატარა რეგიონალური სახელმწიფოა, რომელიც ძალიან სახიფათო გარემოში ცხოვრობს. ჩვენ ვერ შევძლებთ სტაბილური მომავლის აშენებას რუსეთთან, ან ნებისმიერ სხვასთან სამხედრო სიძლიერეში შეჯიბრით. თუკი ჩვენ კავკასიურ კუბად გარდავიქმნებით, შეგვიძლია სამუდამოდ დავემშვიდობოთ დასავლეთთან გაერთიანების იმედებს.

უწინარესად, ჩვენ ვაპირებთ მტკიცე და შეუპოვარ მოქმედებას. ჩვენ ახალ საფუძველს ჩავუყრით მშვიდობას ისევე შეუპოვრად, როგორც ეს ამერიკამ გააკეთა, როდესაც ბოლო მოუღო ომს ბალკანეთში. ისტორიულ მტრობასთან ბრძოლის გრძელვადიანი მოდელების ძიებაში ჩვენ მივმართავთ სამხრეთ აფრიკის გამოცდილებას, დიალოგს პოლონეთსა და რუსეთს შორის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მთლიანად ევროკავშირისას. შევისწავლით დემოკრატიის მშენებლობის გერმანულ მოდელს, რომელიც დაეფუძნება დახმარებას განვითარების მიზნით.

ჩვენი დიალოგი რუსეთთან იქნება მტკიცე და პრინციპული. რუსეთი და საქართველო დღესაც კამათობენ იმაზე, თუ ვინ არის პასუხისმგებელი 2008 წლის ომზე. ეს კონფლიქტი წარმოიშვა ქსენოფობიური და კონფრონტაციული მიდგომით, რაც ორივე ქვეყნის მთავრობისთვისაა დამახასიათებელი. თუკი ჩვენ შევძლებთ იმის აღიარებას, რომ შეცდომები ორივე მხარემ დავუშვით, ეს უკვე გარკვეული პროგრესი იქნება.

ზოგიერთი დამკვირვებელი საქართველოს გარეთ, როგორც ჩანს, მოსკოვს და თბილისს შორის დემოკრატიული დიალოგის გაურკვევლობას ნაცნობ სამხედრო დაპირისპირებას ამჯობინებს. ამიტომ, მე მინდა დავარწმუნო ჩვენი მეგობრები: **ჩვენ არ ვაპირებთ ჩვენი თავდაცვის დემონტაჟს, არამედ გონივრულად ვაპირებთ მის გამოყენებას. საბჭოთა კავშირში და რუსეთში 20 წლის ცხოვრებამ მასწავლა, რომ რთული პოლიტიკური საკითხები შერჩევის მეთოდით უნდა მოაგვარო, ილუზიების გარეშე.**

რაც შეეხება მათ, ვისაც ჩვენი გეგმები რუსული შეთქმულების ნაწილად მიაჩნია, რომელიც საქართველოს სიმტკიცის შესუსტებისკენაა მიმართული, მე მინდა მათი ყურადღება მივაპყრო კონფლიქტებს, რომლებიც მსოფლიოს სხვა წერტილებშია გაჩაღებული. თავისუფლებასა და დემოკრატიაზე იმედის გარეშე ჩვენი საზოგადოება საბოლოოდ აფეთქდება შიდა წინააღმდეგობებისგან. ეს ქვაბი უკვე დუღს. კავკასიას შეიძლება ემუქრებოდეს რელიგიათშორისი კონფლიქტი, როგორიც სირიაშია. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს გვერდით რუსეთი და ირანი არიან, ეს არ არის ის რისკი, რომელზე წასვლისთვისაც ჩვენ მზად ვართ.

**ბიძინა ივანიშვილი,**
**ბიზნესმენი და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი**

THE WALL STREET JOURNAL. ONLINE

◉ აცალეთ, ბატონებო, აცალეთ!

**მიშნაცების ხელისუფლება, რომელმაც საქართველო სანახევროდ უკვე დააქცია, სხვა დემოკრატიულ ღირებულებებთან ერთად იმითაც გამოირჩევა, რომ სხვის თვალში ბეწვი არ გამოეპარება, საკუთარში კი დირესაც ვერა ხედავს. თუმცა ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ არენაზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, ხელისუფლებამ როგორღაც თვალებში გამოიხედა, საკუთარი ხელით ნაფუქებ საქმეებს ჩაუღრმავდა და მასში ერთბაშად იმდენი წუნი და წუმპე დალანდა, რომ თავადაც განცვიფრებული დარჩა, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ „აღმოჩენით“, ერთგვარად ნასიამოვნებიც.**

ნასიამოვნებიც-თქო, ვამბობ, იმიტომ, რომ საკუთარი თვალით ვუყურებ და მიჭირს არ დავიჯერო ის აღტაცება და თვითკმაყოფილება, რასაც ქვეყნის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და ძმანი მისნი განიცდიან ქვეყნის აღმშენებლობაში საკუთარი მარცხისა და წარუმატებლობის გამო. ეს ვაჟბატონები მთელი ამ წლების მანძილზე რომ გვეტრაბახებოდნენ – შევარდნაძის მთავრობის მიერ დაქცეული ქვეყანა ფეხზე ჩვენ წამოვაყენეთო, სულ რამდენიმე თვეა, აღმოაჩინეს, რომ სოფლის მეურნეობა განადგურებული და ივარძმნილია, ხალხი – უმუშევარი და დამშეული, ჯანდაცვა – დაუფინანსებელი და ხელმიუწვდომელი, პენსიები – მცირე და შესაცვლელი . ჰოდა, ამ აღმოჩენის ნეტარებაში მყოფთ, სწორედ ახლა წამოეწივნენ (ღარიბ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო) ივანიშვილის კოალიციის „მეოცნებე ქართველები“ პრეტენზიით – მიშნაცებო, გეყოთ რაც ქვეყანა ანგრიეთ და სწოვეთ, თქვენ წადით და ხელისუფლებაში ახლა ჩვენ უნდა მოვიდეთო.

„მეოცნებეთა“ სულსწრაფობის გამო, ერთმმართველი სააკაშვილი და მასთან შეფიცული ნაცები, რა თქმა უნდა, განაწყენებული არიან. თქვენ რომ ნამუსი გქონდეთ, რაღა მაშინ გვიყელეთ ამ პატიოსან მმართველებს, როცა ჩვენს მამულიშვილურ საქმიანობაში დაშვებული შეცდომები და ჩავარდნები თავადვე აღმოვაჩინეთ და გამოსწორება გადავწყვიტეთო. ოპონენტთა ამ უტაქტო საქციელმა იმდენად გაალიზიანა ხელისუფლება, რომ ტაქტითა და თავაზიანობით საყოველთაოდ ცნობილმა სააკაშვილმაც კი რაღაც მომენტში სიტყვა ველარ მოზომა და... **ნუ გვებლანდებით ფეხებში, ბატონებო, მოგვეცით საშუალება ჩვენს მიერ დაწყებული ქვეყნის აღმშენებლობა ჩვენ თვითონვე დავამთავროთო!**

ჰოდა და ჰო, ამ „მეოცნებეებმა“, თუ ეგენი ნაღდი საქმის ხალხია, რაღა მაშინ მოინდომეს გახელისუფლება, როცა მიშამ და ვანომ გაერთიანებული ძალისხმევით სოფლის წამოწევა, უმუშევრების დასაქმება, მშივრის დაპურება, ოჯახებისთვის სარგებლის მომატება, ხოლო ხანდაზმულთათვის პენსიების გაზრდა და კბილების ჩასმა მოიწადინეს(?!ძ.

ვფიქრობ, სულაც არ არის აუცილებელი ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა, ვთქვათ, იმისთვის, რომ საარსებო მინიმუმი გაზრდის მაგივრად წლების მანძილზე სულ უფრო მცირდებოდეს. ამას მიშნაცები სხვათა დაუხმარებლადაც მშვენივრად ახერხებენ. თუკი ერთი წლის წინათ შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 163,2 ლარს შეადგენდა, ამჯერად ის უკვე 154,1 ლარის ტოლფასია. ამ მხრივ მუშაობა გრძელდება და არ უნდა გაგვიკვირდეს თუ არჩევნების წინადღეებში საარსებო მინიმუმი პენსიების ოდენობას გაუტოლდება. ამით ხალხიც კმაყოფილი დარჩება და ხელისუფლებასაც სატრაბახო ექნება – პენსიონერი აღარ იწუწუნებს, რომ პენსია დენისა და ნაგვის ფულადაც არ ჰყოფნის.

თუმცა, ამ პირობებშიც, როცა პენსია მნიშვნელოვნად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, პენსიონერებს საწუწუნო მაინც არაფერი აქვთ, რადგან ნაპრემიერალ ნიკა გილაურის ლოგიკით თუ ვიხელმძღვანელებთ, თურმე საქართველოში მიმდინარეობს პოზიტიური ინფლაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ფასები მატების ნაცვლად იკლებს. ვერ გეტყვით ქართველ ხელისუფალთ რამდენად იზიდავთ მიმატება-გამოკლების თათქარიძისეული ლოგიკა, მაგრამ ინფლაცია თავისთავად ფასების მატებას რომ ნიშნავს, ამის არცოდნა, პროფესორ ლადო პაპავას თქმით, ყველაზე ჩამორჩენილ სტუდენტსაც კი არ ეპატიება. **„სამწუხაროდ, ეს არის პოლიტიური განცხადებები და მას მხარს უჭერს ჩვენი სტატისტიკაც, რომელიც ისე დააზარალა ბენდუქიძის ეპოქამ, რომ მის აღდგენას ძალიან დიდი დრო დასჭირდება“** – აცხადებს ლადო პაპავა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

აქ, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლით სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს, რომლის მონაცემებით დგინდება საქართველოში საარსებო მინიმუმი, რაღა თქმა უნდა, მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. ლაპარაკია იმ სასურსათო კალათაზე, რომელსაც ექსპერტები უკვე წლებია აკრიტიკებენ, მაგრამ ამაოდ. განსაკუთრებულ პროტესტს იწვევს კალათაში პროდუქტების ის რაოდენობა, რომელიც ჯანდაცვის სამინისტრომ ჯერ კიდევ 2003 წელს დაამტკიცა და მას შემდეგ აღარავის შეუცვლია. არადა, ეს ის ნორმებია, რომელიც საერთაშორისო ნორმატივით ბავშვთა კვების რაციონსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

## პრეზიდენტს ფეხებში რატომ ებლანდებით?!.

### ნაცებმა ქვეყანა შიმშილის ზღვრამდე მიიყვანეს




მოდით დავკონკრეტდეთ. სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი ნორმით, მინიმალურ სასურსათო კალათაში შემავალი პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულება უნდა იყოს 2150 კილოკალორია. ჩვენთან ეს მაჩვენებელი დაკლების ნაცვლად, პირიქით, გაზრდილია (2300 კილოკალორიაძ. მაგრამ ეს გაკეთებულია არა ადამიანის სასარგებლოდ, არამედ მოსაჩვენებლად და მისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად. ამ შემთხვევაში არსებითია არა კალორიულობის საერთოდ სიდიდე, არამედ კალათაში პროდუქტების პროპორციულად გადანაწილება. ჯანმრთელობისთვის მავნებელია, ადამიანი პროდუქტების ერთ სახეობას იღებდეს გადაჭარბებული ოდენობით, ხოლო სხვა სახეობას – ნორმაზე გაცილებით ნაკლებს.

ჩვენს სასურსათო კალათაში სწორედ ასეთი დომხალია. **ავიღოთ, მაგალითად, ხორცი, რომლის დღიური ნორმა აუცილებლად უნდა იყოს მინიმუმ 67 გრამი, მაგრამ ჩვენთან მისი წილი სასურსათო კალათაში მხოლოდ 40 გრამით შემოიფარგლება. ხორცის რაოდენობის შემცირების ხარჯზე სამაგიეროდ გაზრდილია კარტოფილის რაოდენობა, რაც ადამიანის ჯანმრთელობას სახეიროს არაფერს აძლევს. საერთაშორისო ნორმებით ხორცისა და ხორცპროდუქტების დღიური ნორმა ზრდასრული ადამიანისთვის შეადგენს 200 გრამს, საქართველოში კი სულ რაღაც 70 გრამია. პურისა და პურპროდუქტების საერთაშორისო ნორმაა 200 გრამი, ჩვენთან – 380 გრამი, მოხმარება კი ფაქტობრივად – 700 გრამი(!).**

იქნებ მთავრობა ამ „მიღწევას“ იმით ხსნის, რომ „ქართველები პურისმჭამელი ხალხია“ და არა იმით, რომ ეს სიღარიბის სამარცხვინო მაგალითია, მაგრამ მაშინ იქნებ ისიც აგვიხსნას, რატომ ხდება, რომ საქართველოში საერთაშორისო ნორმით დადგენილი 680 გრამის ნაცვლად დღეში მხოლოდ 215 გრამ რძესა და რძის პროდუქტებს მიირთმევენ, ხოლო ბოსტნეულს – 670 გრამის ნაცვლად მხოლოდ 332 გრამს, რომ აღარაფერი ვთქვათ ხილზე, რომლის დღიური ნორმა ჩვენში სულ რაღაც 200 გრამს ითვალისწინებს.

ადამიანმა რომ იარსებოს, მისი კვება უნდა იყოს ჰარმონიზებული, მან უნდა მიიღოს როგორც ცილა, ასევე ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალები, ვიტამინები და ასე შემდეგ, მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყანაში ეკონომიკური სიდუხჭირე, მასობრივი უმუშევრობა და შიმშილობაა, მოსახლეობის უმეტესობას საკვებ პროდუქტებზე ხელი არ მიუწვდება. **საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტი დღეს გაეროს მიერ განსაზღვრული 2100 კილოკალორიაზე გაცილებით ნაკლებ საკვებს იღებს, ხოლო მოსახლეობის 20 პროცენტი იკვებება სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ აბსოლუტურ მინიმუმზე – 1800 კილოკალორიაზე ნაკლებით. სამომხმარებლო კალათაში განსაკუთრებით მცირეა ხორცის წილი, რის გამოც საქართველო ცილოვანი შიმშილის ზღვარზეა. როგორც ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში პაატა კოღუაშვილი შენიშნავს, „საერთო ჯამში ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი არასრულფასოვნად იკვებება და მას იმის ენერგეტიკაც კი არა აქვს, რომ რაღაც გააპროტესტოს და დაიყვიროს“(!).**

სამაგიეროდ ულევი ენერგეტიკული პოტენციალით აღსავსეა პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც შეუძლია ყოველდღიურად ტელევიზიით გაჭიფხულმა იყვიროს და გვიმტკიცოს, რომ მის მიერ აშენებული ქვეყანა სასწაულებრივად მდიდარი და მდგრადია და იქვე დაიქადნოს, რომ ამ სასწაულს ცოცხალი თავით არავის დაუთმობს. ამ ორიოდე დღის წინათაც, როცა პრეზიდენტის თანმხლებმა ზონდერებმა აჭარის ერთ-ერთი სოფლის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მისულ „მეოცნებეებს“ ლამის თავები დაუმტვრიეს, სააკაშვილმა მთელი ცივილიზებული სამყაროს გასაგონად ხმის ჩახლეჩამდე იყვირა: „მეტი საქმე არა მაქვს ჩემი აშენებული ქვეყანა თქვენ გადმოგაბაროთ და დაგანგრევინოთო“.

ვერ გეტყვით სააკაშვილის ასეთი ღრმად დემოკრატიული პათოსით გაცხადებული სურვილის შემდეგ როგორ ხასიათზე დადგებიან ჩვენი კეთილმოსურნე ამერიკელი და ევროპელი მაღალი რანგის მოხელენი, რომელნიც დაბეჯითებით გვაძალებენ დავიჯეროთ, რომ ქართველებს მსოფლიოში უდემოკრატესი და უნეტარესი პრეზიდენტი გვყავს, მაგრამ ნაცების ცრუპენტელობით დაბნეულმა ერთმა ჩვენმა ხანდაზმულმა ქალბატონმა სააკაშვილს მორიგი დაწინაურება და მსოფლიოს პრეზიდენტობა რომ უსურვა, ესეც ფაქტია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბატონი მიხეილი ამ დაწინაურებით არ დაიბნევა, როგორც სჩვევია ხოლმე, არც აჩქარდება და სამეფო საბრძანებლად საქართველოს ნაცვლად ამჯერად მაინც სინგაპურს აირჩევს.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ ერთი ფაქტის ორგვარი ხედვა

# მუშტი-კრივი და ბრალდებები ქართულად

**უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გახშირდა შემთხვევები, როდესაც მოსახლეობასთან შესახვედრად მისულ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ადგილზე აგრესიულად განწყობილი ადამიანები ხვდებიან, რომლებიც, თითქოსდა, ადგილობრივები არიან, და ხშირად საქმე მათსა და კოალიციის წევრებს შორის ფიზიკურ დაპირისპირებამდე მიდის. პირველი ასეთი ინციდენტი გორის რაიონის სოფელ მერეთში მოხდა, უკანასკნელი კი 4 აგვისტოს ხულოს რაიონის კურორტ ბეშუმში, როდესაც შუამთაობის დღესასწაულზე მისულ კოალიციის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა ხალხთან მისვლის საშუალება არ მისცეს, რადგან იქ მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა და, რომელმაც ბეშუმი ივანიშვილის გამოჩენისთანავე სასწრაფოდ დატოვა.**

ამ ინციდენტის შეფასებისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი მოწოდებულია, ხალხი დააპირისპიროს. საერთოდაც „ქართული ოცნების“ წევრები ხელისუფლებას მათი მოსახლეობასთან შეხვედრების ჩაშლაში ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხალხში გააჩინოს განცდა, თითქოს კოალიციის წევრებს მოსახლეობა მხარს არ უჭერს და რეგიონებშიც ცუდად ხვდებიან. კოალიციის წევრები აცხადებენ, რომ აგრესიულად განწყობილი პირები, რომლებიც მათ ამა თუ იმ რეგიონში ხვდებიან, რეალურად ადგილობრივი მოსახლეობა კი არა, არამედ ხელისუფლების ზონდერები არიან.

ხელისუფლება კი პროვოკაციებში „ქართულ ოცნებას“ ადანაშაულებს. მათი არგუმენტი ის არის, რომ კოალიციამ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული პარტიების ქცევის წესების ერთობლივ დეკლარაციას ხელი არ მოაწერა და არც უწყებათშორის კომისიასთან თანამშრომლობს. ამის შესახებ **for.ge**-სთან საუბარში საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით დარჩიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებას ყველა წარმოსადგენ და წარმოუდგენელ ცოდვას აბრალებს, ეს ყველაფერი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს. დარჩიაშვილი ამბობს, რომ ამგვარი რაღაცეების აღსაკვეთად და პრევენციისთვის ხელისუფლებამ სპეციალური სტრუქტურები შექმნა.

იხ. 7 გვ.

◉ ინფორმაცია

### „ლეიბორისტული პარტია“ ვანო ჩხარტიშვილს მოუწოდებს

**„ლეიბორისტული პარტია“ ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილს ბიძინა ივანიშვილის ფინანსური მხარდაჭერის გამო მოქალაქეებისთვის ჩამორთმეული ბინების გამოსყიდვამდე, მითვისებული მილიარდების დაბრუნებისკენ მოუწოდებს. როგორც „ლეიბორისტული პარტიის“ გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ვანო ჩხარტიშვილმა ჯერ იმ მოქალაქეებს უნდა დაუბრუნოს მილიარდები, რომელიც წლების წინ მიითვისა.**

**– ჩვენი ანაბრების გამტაცებელმა, სააკაშვილ-ივანიშვილის ამფსონმა და ამჟამად, ლონდონში მონებივრე ივანე ჩხარტიშვილმა, გადაწყვიტა ჩამორთმეული სასახლეები დაუბრუნოს ოცნებაში მყოფ კრიმინალ-ოლიგარქის თანამებრძოლებს. ჩვენ კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ამ პერსონას, პირველ რიგში, დააბრუნოს ხალხისგან მითვისებული მილიარდობით ანაბარი და მერე მიხედოს თავის მილიონერ ძმაკაცებს, – განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.**

ინტერპრესი

ხედვა შორიდან

# მერაბიშვილი, ივანიშვილი, სააკაშვილი: „პოლიტიკური ომი“ საქართველოში





ათასი ლარი წვიმის სახით ჩამოიყრება ციდან, რაც ყოველი ქუჩიდან ათას ხმას მოიტანს. საქართველოს ახალი პრემიერი ვანო მერაბიშვილი თავისი ვაუჩერით სერიოზულად გეგმავს ყველა ოჯახის გაბედნიერებას და ახალ ძლევამოსილ მოწინააღმდეგესთან მისივე იარაღით – ფულით დაპირისპირებას. რუსეთის წინააღმდეგ ომიდან რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში ახლა „პოლიტიკური ომია“. ასე უწოდა ამ ყველაფერს რამდენიმე კვირის წინათ სტრასბურგის პარლამენტში უცნაური დებატებისას ევროპარლამენტის ბულგარელმა დეპუტატმა ქრისტიან ვინეგინმა. „ჩვენ ზუსტად ვიცით, რატომ ვსაუბრობთ დღეს საქართველოზე“, განაცხადა ფრანგმა დეპუტატმა არნო დანიეანმა და თავის ბულგარელ კოლეგას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან მხარი აუბა: „ჩვენ ვსაუბრობთ დღეს საქართველოზე, რადგან ოლიგარქმა გადაწყვიტა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა (თუმცა ეს მისი უფლებააძ; რადგან მან ლობისტურ სააგენტოებს ვაშინგტონსა და ბრიუსელში დოლარები და ევროები დააყარა თავზე, როგორც ჩანს წარმატებით; რადგან საქართველო ჩვენს განსახილველ საკითხთა სიაში ჩავსვით, არა იმიტომ, რომ ვისაუბროთ რუსულ ოკუპაციაზე ან რუსეთის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების დარღვევაზე, ან სწორედ ოქტომბრის არჩევნების დროს რუსეთის სამხედრო წვრთნებზე რეგიონში, არამედ საარჩევნო ბრძოლაზე საქართველოში“. ის რომ ევროპის პარლამენტი 4 ივლისს საქართველოზე ბჭობდა, ლიბერალების ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა. მაგრამ ნათელი არ არის მიიღეს თუ არა ლიბერალებმა ლობისტებისგან რაიმე სანაცვლოდ, თუმცა ერთი რამ ზუსტია: 4 ივლისი იყო დღე, როდესაც ვანო მერაბიშვილმა თბილისში, პარლამენტის წინ, მთავრობის ხელმძღვანელის რანგში თავისი პირველი განცხადება გააკეთა სხვა დანარჩენ დაპირებათა შორის 1000-ლარიანი ვაუჩერის შესახებ. დებატების მიზანი მერაბიშვილისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაცია იყო. მათ წინააღმდეგ საპარლამენტო არჩევნებში პირველ ოქტომბერს ოლიგარქი და მეცენატი ბიძინა ივანიშვილი იბრძოლებს.

ყოფილი ვარდების რევოლუციონერებისათვის ივანიშვილი ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა. რაც ვერ მოახერხეს სკანდალებმა, გაუხსნელმა მკვლელობებმა, კვირაობით გახანგრძლივებულმა მასობრივმა დემონსტრაციებმა და მათმა დარბევამ, ასევე რუსეთთან ხუთდღიანმა ომმა და ტერიტორიების დაკარგვამ – ივანიშვილს შეუძლია სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებიდან განდევნა.

> დებატების მიზანი მერაბიშვილისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაცია იყო. მათ წინააღმდეგ საპარლამენტო არჩევნებში პირველ ოქტომბერს ოლიგარქი და მეცენატი ბიძინა ივანიშვილი იბრძოლებს.

საქართველოს უმდიდრესი ადამიანი, რომელიც „ფორბსის“ სიაში 6,4 მილიარდი დოლარით 153-ე ადგილზეა, დღევანდელი მდგომარეობით ოქტომბრის არჩევნებში თავად მონაწილეობას არ მიიღებს. ამის მიზეზი იურიდიული მანევრებია, რომელიც ოლიგარქის პოლიტიკური აღმავლობის შესაფერხებლად საქართველოს მთავრობამ გამოიყენა, რასაც ივანიშვილმა პრეზიდენტისადმი ღია წერილში „აბსურდული“ უწოდა. ქართველმა რუსმა ბორისმა, მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილმა 2010 წელს საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო (ეს თავის მხრივ კიდევ სხვა თემააძ, რაც ქართულ უწყებებს არ შეატყობინა. ხელისუფლებამ ეს ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის მიზეზად გამოიყენა, კერძოდ კი 2011 წელს, როდესაც ივანიშვილს აზრად მოუვიდა პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბება და სააკაშვილის წინააღმდეგ გაბრძოლება.

თავისი რუსული პასპორტი ოლიგარქმა სიფრთხილის გამო ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ჩააბარა. ახალი გამომწვევის მიმართ ხელისშემშლელი მცდელობების გამო ვაშინგტონსა და ევროპაში მოსალოდნელი კრიტიკის შემდეგ – მაგალითად, მთავრობის მხრიდან ივანიშვილის პირველი პრესკონფერენციის დროს ელექტროენერგიის გამორთვისთვის, სახელმწიფოს მეთაურმა და მთავრობამ თბილისში უკან დაიხიეს. დაიწერა „ივანიშვილის კანონი“, რომელიც მიიღო პარლამენტმა და მოიწონა საკონსტიტუციო სასამართლომ. ახლა ნებისმიერს, ვისაც საქართველოში 5 წელი უცხოვრია, შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად, ასევე ისეთ „ფრანგს“, როგორიც ივანიშვილია. ეს არც თუ ჭკვიანური ნაბიჯია. ივანიშვილმა პირობა დადო, რომ არ მიიღებდა ამ შემოთავაზებას, არც ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებისას და არც მომავალ წელს, სააკაშვილის მემკვიდრის არჩევნებზე.

„თბილისის ტიტანი“ ასე ჰქვია იმ პატარა პორტრეტს, რომელიც თომას დე ვაალმა ჟურნალ **Foreign Policy**-ში ამ საიდუმლოებით მოცულ ადამიანზე გამოაქვეყნა: უშუალომ, მაგრამ ძალიან თავდაჭერილმა, საკუთარ თავში დარწმუნებულმა და ნამდვილად ამოუხსნელი რკინის ნებით გამსჭვალულმა ადამიანმა კავკასიის ამ პატარა რესპუბლიკაში თავის თავზე აიღო ძალუფლება. 56 წლის ივანიშვილს თავის გამარჯვებაში იოტისოდენა ეჭვი არ ეპარება.

2011 წელს ვაალი ოლიგარქს თბილისის ამაღლებულ ნაწილში ჰაიტეკ ციხესიმაგრეში ეწვია. ამასობაში ივანიშვილი საქართველოს რეგიონებს სტუმრობს და საარჩევნო გამოსვლებისას წარადგენს „ქართული ოცნების“ კანდიდატებს კოალიციასთან დაკავშირებული ოპოზიციური პარტიებიდან. ივანიშვილის სასახლეში ბევრი პოლიტიკოსი ზის, რომლებმაც მიხეილ „მიშა“ სააკაშვილთან 2008 წლის აგვისტოს ომამდე ან ომის შემდეგ გაწყვიტეს ურთიერთობა: მათ შორისაა 38 წლის ირაკლი ალასანიაც, საქართველოს ყოფილი ელჩი გაეროში და აფხაზეთის დევნილი მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე. ალასანია ითვლებოდა და დღემდე ითვლება დასავლეთისათვის სააკაშვილის სასურველ შემცვლელად. თუმცა ქვეყანაში მისი პოლიტიკური ბაზისი იმდენად მწირია, ხოლო 2003 წლის ვარდების რევოლუციონერთა ადმინისტრაცია, რომელსაც იგი მიეკუთვნებოდა, იმდენად ძლევამოსილი, რომ ხელისუფლების შეცვლა უპერსპექტივოდ მოსჩანდა. ოლიგარქ ივანიშვილის გამოჩენა ბევრი თვალსაზრისით სააკაშვილის ბანაკისათვის უმწიკვლოების ტესტია. გასული წლების მკაცრი დასავლური კურსისა და მოდერნიზების პერიოდში საქართველომ ვერა და ვერ მოიპოვა შინაგანი წონასწორობა. ახლა კი გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ყველაფრის ყიდვა შეუძლია.

ვლადიმერ სოკორი, კავკასიის საკითხების ექსპერტი და როგორც წარსულში, ასევე დღესაც კრემლის მტერი და სააკაშვილის დამცველი, ოლიგარქის კანდიდატების სიას ასე ახასიათებს: გარიყული ბოჰემის წარმომადგენლები, სპორტსმენები, ივანიშვილის სამეფოს ერთგული მსახურები და წარუმატებელი ოპოზიციონერები. სოკორი ხაზს უსვამს ივანიშვილის ჯგუფის „ქართული ოცნების“ ავტორიტარულ ხასიათს და შედარებებს აკეთებს გაუფერულებულ სოციალისტურ სახალხო რესპუბლიკებთან:

„გარკვეულწილად, „ქართული ოცნება“ კომუნისტების მიერ ორგანიზებულ იმ კოალიციებს (ე.წ. „ფიქტიურ კოალიციებს“ძ მოგვაგონებს, რომელიც აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქმნებოდა. მსგავსება იდეოლოგიური არ არის, რადგან მთავარი პარტია „ქართული ოცნება“ ეკლექტურია. მსგავსება კოალიციის სტრუქტურასა და ქმედებებშია. მთავარი ელემენტებია: ჰეგემონური პარტია; სატელიტური პარტიების ჯგუფი, რომელიც დამოკიდებულია ჰეგემონური პარტიის რესურსებზე; წამყვანი პარტია გავლენას ახდენს პატარა პარტიების შიდა გადაწყვეტილებებზე; აქტიური გადმობირება მხარდამჭერების კულტურის სფეროს წარმომადგენლებიდან (ამჯერად ეს შეცვლილია სპორტის მოღვაწეებითძ; და დასავლეთზე ორიენტირებული ელემენტების მარგინალიზაცია ვიწრო, პროვინციული ელემენტების სასარგებლოდ.“

ივანიშვილის განცხადებით, მას სურს გაალღოს გაყინული ურთიერთობები მოსკოვთან. ეს საქართველოში ბევრს, მათ შორის საქმიან ადამიანებსაც საკმაოდ გონივრულად მიაჩნიათ. მაგრამ ყველაზე დიდი რისკი თავად ივანიშვილია. მისი გაუმჭვირვალობა დამაჯერებელს ხდის კრიტიკოსთა მოსაზრებებს: ივანიშვილის ქვეყანა უკან დაიხევს, ისევე როგორც უკრაინა ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობის პირობებში და შეფერხდება ის რეფორმები, რომელმაც საქართველო გასულ წლებში ზოგიერთ სფეროში წინ წასწია, ისევე როგორც ევროკავშირის ცნობილი წევრები რუმინეთი და ბულგარეთი.

ევროკავშირისა და აშშ-ს ხანგრძლივი ზეწოლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ამ საარჩევნო კამპანიისათვის შეასუსტა თავისი სრული მონოპოლია მედიაზე. პირველი აგვისტოდან საკაბელო ტელევიზიებს დაევალათ ყველა საინფორმაციო არხის ტრანსლირება, მათ შორის „მეცხრე არხის“, ტელევიზიის, რომელიც ეკუთვნის ივანიშვილის მეუღლეს – ეკატერინე ხვედელიძეს. სააკაშვილის ბანაკი მათ ყოფილ მეგობარ ოლიგარქს არაფერს უთმობს. ლობისტები და ლონდონელი, პარიზელი ან ვაშინგტონელი ჭკვიანი პიარტექნოლოგები სააკაშვილის ადმინისტრაციამ ივანიშვილზე ბევრად უფრო ადრე დაიქირავა. „ქართუ ბანკი“, ივანიშვილის იმპერიის გასაღები საქართველოში, იძულებითი მმართველობის მეშვეობით (ასე ამბობენ ბანკის მენეჯერებიძ გაიძარცვა. მდიდარი კაცის საარჩევნო კამპანიას თან ახლავს რეკორდული ჯარიმები: ის 126 მილიონი ლარით (62.37 მილიონი ევროძ დააჯარიმეს მხოლოდ სატელიტური ანტენების უფასო დარიგების, 90 მილიონი ლარით (44,5 მილიონი ევროძ კი პარტიების დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევის გამო (239 ავტომობილი გადასცა მოკავშირე პარტიასძ.

შემდეგ გამოჩნდა ვანო მერაბიშვილი, ივლისის დასაწყისიდან საქართველოს მთავრობის ახალი მეთაური. მან, სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილსა და პრეზიდენტობის ბნელ მხარეებზე ბევრად მეტი იცის, ვიდრე ნებისმიერმა სხვამ თბილისში. შვიდ წელზე მეტ ხანს იყო ის შინაგან საქმეთა მინისტრი, დაძლია ყველა კრიზისი, მთავრობის ცვლილებები და წარმატებით გამოაძვრინა სააკაშვილი ყველა სკანდალიდან. მერაბიშვილმა გაწმინდა პოლიცია („ვარდების რევოლუციის“ ყველაზე დიდი მიღწევაძ და როგორც თავად ამბობს პასუხისმგებელია ყველაფერზე, რაც მისი მუშაობის პერიოდში მოხდა: დემონსტრანტების დარბევა, ბანკირ სანდრო გირგვლიანის 2006 წელს მკვლელობის ჯერ კიდევ გაუხსნელი საქმე (თბილისის ერთ-ერთ ბარში უთანხმოების შემდეგ ის ქალაქის განაპირას მოკლული იპოვეს; სუფრასთან მერაბიშვილის მეუღლეც იჯდაძ. 44 წლის ახალი პრემიერი პრაქტიკულ კაცად ითვლება, და თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მსგავსად უხეშად და მოკლედ გამოთქვამს სათქმელს. პოლიციის მინისტრი, როგორც მასზე წერენ, ძლევამოსილი და საშიშია.

> ევროკავშირისა და აშშ-ს ხანგრძლივი ზეწოლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ამ საარჩევნო კამპანიისათვის შეასუსტა თავისი სრული მონოპოლია მედიაზე.

მერაბიშვილის მეთაურობით მთავრობა საარჩევნო ბრძოლაში ებმება. შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეცვლა აძლიერებს იმ შთაბეჭდილებას, რომ სააკაშვილის ბანაკი მისთვის ყველაზე რთული პოლიტიკური ბრძოლისათვის ემზადება. მერაბიშვილმა გაახმაურა ხალხისათვის პოპულისტური დაპირებების მთელი სია, რომელიც სააკაშვილის 8-წლიანი პრეზიდენტობის პერიოდისთვისაც კი უპრეცედენტოა: პენსიების მეოთხედით გაზრდა, 270 000 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, რამდენიმე მილიარდი გლეხებს, უნივერსიტეტებს, რამდენიმე მილიარდი ლარით მეტი საავადმყოფოებს და სოციალური საკითხების მოგვარებას. არჩევნებამდე ორი თვით ადრე ეს არ გამოვა. სამაგიეროდ არსებობს 1000-ლარიანი (495 ევროძ ვაუჩერი ისეთი ხარჯებისთვის, როგორიცაა ელექტროენერგიის გადასახადი, ახალი სასწავლო წლის დასაწყისი, ასევე ქართული ოჯახისთვის საჭირო სხვა ისეთი ხარჯებისთვის, რისი გადახდაც ოლიგარქ ივანიშვილს თავისი კუპიურებით არ შეუძლია.

**მარკუს ბეი**

DER STANDARD

ერთი ფაქტის ორგვარი ხედვა

# მუშტი-კრივი და ბრალდებები ქართულად



(მეხუთე გვერდიდან) **„მრჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართულ ოცნებას“ ინტერსააგენტო ჯგუფთან თანამშრომლობა არ სურს. მეორეც, ბეშუმის ინციდენტს რაც შეეხება, როდესაც ადგილზე ხელისუფლების მხარდამჭერთა ამხელა ოდენობა არის შეკრებილი, იქ მისვლა ვისი მხრიდან იყო პროვოკაცია, ეს კიდევ საკითხავია. მესამეც, საჩხერეში ვიყავი ჩასული და იქ მოსულები იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოსახლეობასთან ნორმალურ დიალოგში ხელს გვიშლიდნენ. აქ იმაზე არ არის საუბარი, რომ ვიღაცას შეიძლება კრიტიკული აზრი ჰქონდეს, მაგრამ სპეციფიკურად მოსვლა, „ქართული ოცნების“ მაისურებით და წამოძახილები, – თქვენ არაფერს აკეთებთ და ა.შ. ეს ყველაფერი მე მათი მხრიდან მინახავს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალიან ცუდია“,** — აცხადებს დავით დარჩიაშვილი.

მისი თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებულ დეკლარაციაზე ხელის მოწერა არ იკადრა. რაც შეეხება 3 აგვისტოს ფოთში მომხდარ ინციდენტს, როდესაც „ქართული ოცნების“ ახალგაზრდებს ნაცმოძრაობის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენელმა შეურაცხყოფა მიაყენა, დავით დარჩიაშვილი ამბობს, რომ გასაკვირი არ არის, როდესაც ასეთ დაძაბულ წინასაარჩევნო პერიოდში ემოციები სჭარბობს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებში, მაგრამ აღნიშნავს, რომ როდესაც ხელისუფლებას ასეთი დაპირისპირებების ძირეულ მიზეზებთან ბრძოლა სურდა, ოპონენტებმა ამას მხარი არ დაუჭირეს.

**„მაშინ ამჟამინდელი „ქართული ოცნების“ წევრები, სხვადასხვა პარტიებში მყოფები, თუ უპარტიონი, ყველაფერ ამას უპირისპირდებოდნენ, ქართული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლად ნათლავდნენ, იქნებოდა ეს ქურდული მენტალიტეტის წინააღმდეგ კამპანია თუ სხვა. ახლა კი თუ რამ ხდება, ოღონდ მათ პირადად დისკომფორტი არ შეექმნათ და სისტემურად ამ პრობლემებთან ბრძოლა მათ არ სურთ. ამიტომაც ჩვენსა და „ქართულ ოცნებას“ შორის ძალიან სერიოზული ფუნდამენტური შეუთავსებლობაა. ისევ ვიმეორებ, ამ ყველაფერს ძალიან ღრმა მიზეზები აქვს და კონკრეტულ გამოვლინებებთან საბრძოლველად თანამშრომლობაა საჭირო და არა იმის თქმა, რომ ოპონენტი საქართველოს გადამგვარებელია. რეალურად წარსულს ვინ ემსახურება, გასაგებია“,** — ამბობს დარჩიაშვილი.

„ქართული ოცნების“ წევრი თინა ხიდაშელი აცხადებს, რომ აგრესიულობით მხოლოდ ნაცმოძრაობის წევრები გამოირჩევიან, რადგან შუამთაობის დღესასწაულზე მისულ სააკაშვილს „ქართული ოცნების“ წევრებმა სიტყვაც კი არ უთხრეს, ბიძინა ივანიშვილის მიმართ კი ნაციონალები აგრესიულად იქცეოდნენ.

**„მიხეილ სააკაშვილმა ძალიან ადვილი და სახიფათო პოლიტიკა აირჩია. მისი ამოცანა საზოგადოების დაპირისპირება და კონფლიქტის გამოწვევაა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ როგორმე სიტუაცია უმართავ მოვლენებამდე მიიყვანოს. ამ ქმედებებს, როგორიც არის გინება, ჩხუბი, ქვების სროლა, მივარდნები და შეხვედრების ჩაშლა, ეს პატარა გოგო-ბიჭები ვერ გაბედავდნენ, ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ წახალისებული რომ არ იყოს. პოლიციის მიერ ამ ყველაფრის მიმართ გულგრილობა და ამ ადამიანების დაუსჯელობა, ძალიან კარგი მაგალითია იმისა, როგორ არ შეიძლება იქცეოდეს ხელისუფლება“,** — აცხადებს თინა ხიდაშელი.

მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილი დარწმუნდა, რომ არჩევნებს წააგებს და ამიტომ ახლა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რაღაც განსაკუთრებული, სადამსჯელო ქმედებები განახორციელოს. ხიდაშელი ამბობს, რომ „ქართული ოცნების“ სიმშვიდე მიხეილ სააკაშვილის მთავარი მტერია და ამიტომ იგი კოალიციის პროვოკაციაზე წამოგებას ცდილობს, თუმცა ვინაიდან ამდენი ხნის განმავლობაში ეს ვერ მოახერხა, უნდა მიმხვდარიყო, რომ არაფერი გამოსდის.

რაც შეეხება forge-სთვის დავით დარჩიაშვილის მიერ მიცემულ კომენტარს, სადაც ის პროვოკაციებში „ქართულ ოცნებას“ სდებს ბრალს, თინა ხიდაშელი ამბობს, რომ დეპუტატის ბოლოდროინდელი განცხადებები სულ უფრო აგონებს ვიტალი ხაზარაძეს.

**„ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დარჩიაშვილის ყოველი მორიგი კომენტარი ვიტალი ხაზარაძის საუკეთესო სტილშია გაკეთებული, თან დარჩიაშვილს ბოლო დროს უზრდელობაც უსწავლია. ამის თქმის საფუძველს მისი ბოლოდროინდელი კომენტარები მაძლევს. რაც შეეხება უწყებათშორის კომისიასთან თანამშრომლობას, ჩვენ მასთან აქტიურად ვთანამშრომლობთ, ჩვენი ორი წარმომადგენელი კომისიის სხდომებს მუდმივად ესწრება და ასევე ამ უწყებას თეა წულუკიანი ჩვენი შეხვედრების განრიგს მუდმივად უგზავნის, მათ შორის ბეშუმის შეხვედრის შესახებაც ინფორმირებულები იყვნენ. არ მგონია, რომელიმე სხვა პოლიტიკური ძალა ამას აკეთებდეს“,** — აღნიშნავს ხიდაშელი.

მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მიზანი კონფლიქტი არ არის და ხელისუფლებამ რაც არ უნდა ილაპარაკოს, არ არსებობს დეკლარაცია, რომელიც კანონზე მაღლა დგას. კანონებში კი წერია, რომ ის ქმედებები, რომელთაც ხელისუფლება იყენებს, დასჯადია.

პოლიტიკური ექსპერტი რამაზ საყვარელიძე უკანასკნელი მოვლენების შეფასებისას ქართულ ანდაზას იშველიებს – სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო.

**„ეს რომ ხელისუფლების მიერ ძალადობის გამოვლენის პირველი შემთხვევა იყოს, კიდევ დაეჭვდებოდი კაცი, მაგრამ არაერთი მშვიდობიანი თავყრილობა გვინახავს, რომელიც ხელისუფლებას ძალადობის გამოყენებით დაურბევია. ასე რომ, სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო და ამ მხრივ, ხელისუფლების მსჯელობა უფრო საბაბს ჰგავს, ვიდრე მიზეზს და ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიცია ამიტომ ნდობას ვერ იმსახურებს“,** — აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

რაც შეეხება „ქართული ოცნების“ მიერ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ დეკლარაციაზე ხელის მოწერაზე უარის თქმას, რამაზ საყვარელიძე ხაზს უსვამს აღნიშნული დოკუმენტის ბოლო პუნქტს, სადაც აღნიშნულია, რომ ყველა პოლიტიკურმა სუბიექტმა არჩევნების შედეგები უნდა აღიაროს. ექსპერტი ამბობს, რომ აქაც სახელის გატეხის შესახებ ანდაზა გამოგვადგება და ამ შემთხვევაშიც ხელისუფლების ეს მოთხოვნა ნდობას არ იმსახურებს.

**„ძალის გამოყენებით მიზნის მიღწევა უფრო დამახასიათებელია ხელისუფლებისთვის, ვიდრე მისი ოპონენტებისთვის“,** — ამბობს საყვარელიძე.

**რუსიკო უშიკიშვილი**

პოლიტმეტრის ფეისბუქიდან

# გიგა ლიპარტელიანს თავისი ცილისმწამებლური წიგნის პოპულარიზაცია არ გამოუვიდა

**3 აგვისტოს ნინო ჟიჟილაშვილს თავის პოპულარულ პოლიტმეტრში სტუმრად ჰყავდნენ ირაკლი ბათიაშვილი და ჯერ მწერლად მონათლული და შემდეგ პუბლიცისტად გადანათლული ვინმე გიგა ლიპარტელიანი, რომელსაც ცილისმწამებლურ-სალანძღავი წიგნი დაუწერია ბიძინა ივანიშვილზე და ცდილობდა ამ თავისი ვაინაღვაწის პოპულარიზაციას. მართალია, ტელეგამძღოლმა და ირაკლი ბათიაშვილმა იქვე ამხილეს უპრინციპობისა და ცილისწამების ჯორზე შემჯდარი ავტორი, მაგრამ, ალბათ, ურიგო არ იქნება, თუ ჩვენს მკითხველს პოლიტმეტრის მსმენელ-მაყურებლის პირუთვნელ აზრსაც გავაცნობთ თვით პოლიტმეტრის ფეისბუქიდან.**

**ზურაბ დევაძე:**

— ეს დეგენერატი ლიპარტელიანი სერიოზული სამკურნალოა თავის ნარკომან შვილთან ერთად.

**ზაზა თუთაშვილი:**

— კაცი მარაზმი!!!

**ჯაბა ჯოჯუა:**

— ასეთი დაუნი სვანი პირველად ვნახე.

**ქეთინო გვენეტაძე:**

— რას ბრძანებთ, ხალხო?! კაცმა წიგნი დაწერა, მაგას შეეძლებოდა რამე???? გენიოსია! მაგის პატრონი დარწმუნებულია — ადამიანი გავზარდეო! რა ეშველება ამდენ პარანოიკს?!

**თამაზ ჯავახიშვილი:**

— ვაი ჩვენს დღეს, გიჟები გვაკლია ჩვენ კიდევ?

**იო მარდი:**

— ლიპარტელიანი ნაძირალაა. ხვრელში მძრომი და უბრალოდ არაკაცი! ერთადერთი, რაც ლიპარტელიანმა სცადა გადაცემაში, ესაა წიგნის რეკლამირება.

**გიორგი აგლაძე:**

— დარჩენილი სამოცი დღე და ყოველი დღე უარესი იქნება.

**ხათუნა ფანცულია:**

— აღშფოთებული ვარ ამ ადამიანის გამოსვლით . ქალბატონო ნინო, რატო არ მიაქციეთ ყურადღება იმ გამონათქვამს, რაც ამ კაცმა თქვა: მან თქვა, რო ხალხს არ ეცოდინება, თუ ოქტომბრის ბოლოს სად იქნება ივანიშვილი და მაგას თქვენ ნახავთო. რას ნიშნავს მისი სიტყვები? ესე იგი, რაღაცას უპირებენ, გთხოვთ, ამოიღოთ ეგ სიტყვები და ხშირად დაატრიალოთ, რო ხალხმა გაიგოს. მან ეთერში განახორციელა მუქარა და გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება

**ლეილა მართაშვილი:**

— ვაიმე, ჩემო საქართველოვ, რამდენი სატკივარი გყოლია, ახლა ეს ქვეწარმავალი ლიპარტელიანი გვინდოდა კიდევ?

**ლია ქეშელაშვილი:**

— ეს რა ვნახე! არ მეგონა, კიდევ რაიმე თუ გამაკვირვებდა, მაგრამ გამაოცა! ივანიშვილზე ინფორმაცია უნდა მოვიპოვოო, თავის ნაძირლობას ამით ამართლებს, მისი სამშობლო რუსეთმა წელში რომ გაწყვიტა და ტერიტორიები ჩამოაჭრა, ამაზე არ შეწუხდა, კვერი დაუკრა რუსეთს. რა მექნა, საინფორმაციო ვაკუუმი იყოო. არ ვიცოდი, რა ხდებოდა და ასე ვფიქრობდიო. სამშობლო რომ გტკიოდეს, რუსული გაზეთებიდან გაგონილ ინფორმაციას ელოდები? დედამიწა როგორ ზიდავს ამისთანებს?

**ქეთი ბურნაძე:**

— ეს კაცი და მისი თაზოც (ლიპარტელიანები ძ ცოფზე არიან ასაცრელები....ტფუიიიიი................

**ალექსანდრ ნაინი:**

— გიგა ლიპარტელიანო, შე მონავ, შენა! შენზეა ნათქვამი კაცია-ადამიანი?!



შე კაცუნა, შენც ქართველი ხარ და გმირი გიორგი ანწუხელიძეც? შენ უტვინო, პრიმიტივი ხარ.....

**ლულუ უსტიაშვილი:**

— მიშას გარემოცვაში ბევრი ნაძირალა (კაციც და ქალიცძ, ბევრი დაუნი, ბევრი კონფორმისტია, მაგრამ ამ ინფუზორიამ ყველას გადაუჯოკრა! მის შვილს ჰაბიტუსი სუფთა ნარკომანისა აქვს, თავად კი, მგონი, სერიოზული სამკურნალოა! არშემდგარ ადამიანებს, არშემდგარ მწერლებს უჩნდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი და ცდილობენ, ნებისმიერი გზით გახდნენ პოპულარულები.

**ლევან ჩიქავა:**

— ეს ლიპარტელიანი არის მოღალატე. კარგია, ნინო, რომ ასეთ ხალხს ალაპარაკებთ. გაიგოს ყველამ სიმართლე. ცუდია, რომ რეგიონებში ყველგან ვერ უსმენენ მაესტროს.

**ლევან ომანაძე:**

— ძალიან ბევრ ბოდიშს იხდი ასეთ რესპონდენტთან და არ არის საჭირო. და კიდევ კითხვაც ბევრი დაუსვი. შენს ხმას ნუ გადაფარავს რესპონდენტი.

**ზურა ჭონქაძე:**

— მე ლეიბორისტების მომხრე ვარ (არა ივანიშვილისძ, მაგრამ აშკარაა, რომ ლიპარტელიანს თავისი „წიგნის“ გაყიდვა უნდა, მიეცით ცოტა ფული მაგას და მაგის დაკრეჭილ ბიჭს, რათა თავიანთი „ოჯახური სახუმარო“ ვიდეოები აღარ გვანახონ. დროს ნუ გვაკარგვინებთ ასეთების საყურებლად, თქვენ კი, პოლიტმეტრელებო, რაც მეტ ყურადღებას მიაქცევთ ასეთებს, პოპულარულობისთვის მაგათაც ეს უნდათ...

**ლეილა ქორიძე:**

— სად პოულობთ, ღმერთო, ამნაირ ნაძირალებს? სპეციალურად გამოყვანილი ჯიშია...

**როენა ჯაფარიძე:**

— ეს ნაგავი საიდან მოეთრა?

**ულამაზესი ქართველი ჟურნალისტები:**

— თუ ბიძინა ივანიშვილი ნარკოდილერებთან იყო შეკრული, რატომ აქამდე არ დაიჭირეს? კარგით რა, ტყუილებს თავი დაანებეთ. ეს თვით დამქირავებელი ნაციონალებისთვისაც კი ძალიან ცუდია...

SIC!

# უგუნურებას, მზაკვრობას!

## გიორგი ოკრიბელაშვილი: „უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეთა 70 პროცენტი მომავალ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს“

გვესაუბრება „ემიგრანტები დემოკრატიული საქართველოსთვის“ საბერძნეთის წარმომადგენელი **გიორგი ოკრიბელაშვილი.**




**— საქართველოს პრეზიდენტმა საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღად მიმდინარე წლის 1 ოქტომბერი გამოაცხადა. როგორ ფიქრობთ, რამდენად ოპტიმალური თარიღია?**

— მოდით, დავფიქრდეთ, რას ნიშნავს პრეზიდენტის მიერ ამ დღის არჩევა. ამისათვის ჩავიხედოთ კალენდარში და ვნახავთ, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერი ორშაბათია. მერე რაო, იტყვის მავანი, იგივე პრეზიდენტის ბრძანებულებით ეს დღე გამოცხადდება არასამუშაო დღედ და საქართველოს მოქალაქეებს წყნარ ვითარებაში და რაც მთავარია, კონსტიტუციურ ვადებში მიეცემათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა „უპრეცედენტოდ გამჭვირვალე, დემოკრატიულ და თავისუფალ“ არჩევნებში. ეს ყველაფერი სრული სიმართლე იქნებოდა ერთი გარემოება რომ არ არსებობდეს. დღეს საქართველოს მოქალაქეების 25% (მიგრაციის მსოფლიო ასოციაციის მონაცემებით 1 300 000 მოქალაქეძ, ცხოვრობს და მუშაობს საზღვარგარეთ, სადაც მართალი რომ გითხრათ, სულ არ აინტერესებთ რა ბრძანებულებას გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი და რა დღეს გამოაცხადებს უქმედ. ამას სხვას ვერაფერს დავარქმევთ თუ არ უგუნურებას (არ გვინდა, დავიჯეროთ, რომ საქართველოს ხელისუფლება მართლა თვლის რომ ემიგრანტები არ უნდა მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიძ. დიახ, უგუნურებაა, როცა იცი, რომ შენი მოქალაქეების 25% არ ცხოვრობს სამშობლოში და მათ არჩევნებს ორშაბათ დღეს უნიშნავ, თანაც აცხადებ, რომ შენთვის თითოეული მოქალაქის მონაწილეობა არჩევნებში მნიშვნელოვანია. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!

**— როგორც ცნობილია, ემიგრანტებმა საკონსულო რეგისტრაციასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანება გააპროტესტეს, რომელიც შემდეგ შეიცვალა კიდეც. როგორ ფიქრობთ, ეს ცვლილება საკმარისია იმისთვის, რომ საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება აღარ გაუჭირდეთ?**

— მოდით, უფრო ჩავუღრმავდეთ ამ პრობლემას და ვიფიქროთ, რატომ კეთდება ყველაფერი იმისათვის, რომ ემიგრანტს მაქსიმალურად გაუჭირდეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება და რა შეიძლება მოყვეს ასეთ უგუნურ გადაწყვეტილებებს.

როგორც მოგეხსენებათ, ემიგრანტებისათვის საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებში მოხვედრის ერთადერთი ლეგალური გზა არის საკონსულო რეგისტრაციის გავლა ადგილსამყოფელი ქვეყნის საკონსულო სამსახურში. აგრეთვე საკონსულო სამსახურებში დარეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობაზეა დამოკიდებული ის, თუ რამდენი უბანი გაიხსნება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე და ასევე მნიშვნელოვანია, სად გაიხსნება ეს უბნები. მოდით, გავიაროთ საკონსულო რეგისტრაციის საკითხები საბერძნეთში მცხოვრები მოქალაქეების მაგალითებზე (ყველაზე პესიმისტური გათვლით, დღეს საბერძნეთის რესპუბლიკაში ლეგალის და არალეგალის სტატუსით საქართველოს 150000 მოქალაქე ცხოვრობსძ. საკონსულო რეგისტრაციის გავლის 3 გზა არსებობს: მიხვიდე საქართველოს საკონსულოში და გაიარო რეგისტრაცია, ისარგებლო სამოქალაქო რეესტრის ონლაინ მომსახურებით, ინტერნეტით გააკეთო განაცხადი რეგისტრაციაზე, შემდეგ კი ბარათის მისაღებად ისევ მიაკითხოთ საკონსულოს ან ფოსტის საშუალებით გაუგზავნოთ საკონსულოს დოკუმენტები და ამის შემდეგ ბარათის მისაღებად მიხვიდეთ საკონსულოში. როგორც ხედავთ, სამივე შემთხვევაში მოქალაქეს საკონსულო სამსახურში ფიზიკურად მისვლა სჭირდება. სწორედ ესაა პირველი დაბრკოლება: საქმე იმაშია, რომ საკონსულო სამსახური მოქალაქეთა მიღებას მხოლოდ სამუშაო დღეებში და თანაც დილის საათებში ახორციელებს. ამ დღეებში კი საქართველოს მოქალაქეები მუშაობენ და ფიზიკურად ვერ ახერხებენ მისვლას. მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის შემოდგომაზე დაიგეგმა, უცხოეთში (კერძოდ საბერძნეთშიძ მცხოვრებმა საქართველოს უამრავმა მოქალაქემ გადაწყვიტა, დამდგარიყო საკონსულო აღრიცხვაზე. შესაბამისად, მოიმატა განცხადებების ოდენობამაც, მაგრამ 2012 წლის 11 ივლისს საგარეო საქმეთა მინისტრმა საკუთარი ბრძანებით №158 შეცვალა იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც მოქალაქემ აუცილებლად უნდა წარუდგინოს საკონსულო სამსახურს რეგისტრაციის გასავლელად. ამ ჩამონათვალში გაჩნდა დ პუნქტი, რომელიც ითხოვს, რომ მოქალაქემ წარადგინოს ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან უცხოეთში. ამ ერთი თითქოს უმნიშვნელო შესწორებით, ეჭვქვეშ დადგა სრულიად ემიგრაციის (მიუხედავად სტატუსისაძ არჩევნებში მონაწილეობის საკითხი, რადგან ბევრ ქვეყანაში ასეთი ცნობა უბრალოდ, არ არსებობს. სწორედ ამიტომ, ემიგრანტების არასამთავრობო ორგანიზაციების ზეწოლის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრმა ახალი ბრძანებით №173 შეარბილა მოთხოვნა და განმარტა, რომ მიიღებს სხვა აღიარებულ დოკუმენტსაც. ამით თითქოს, გამოსწორდა ლეგალური სტატუსის მქონე მოქალაქეთა მდგომარეობა, მაგრამ მინდა, ავღნიშნო რომ ესაა ზღვაში წვეთი. დღეს კვლავ არ არსებობს არანაირი გზა რომ არალეგალურად მყოფმა მოქალაქემ გაიაროს რეგისტრაცია. იგივე ცვლილებები შეეხო ონლაინ მომსახურებასაც, რომელიც თავისი ტექნიკური მოთხოვნებით იმდენად რთული იყო, რომ კომპიუტერის მოყვარულ მოხმარებელსაც კი უჭირდა რეგისტრაცია. კერძოდ, მოთხოვნილი სურათის პარამეტრები იმდენად რთული იყო რომ მისი ატვირთვა შეუძლებელი იყო, აგრეთვე ძალიან დიდ დროს იკავებდა ვიზუალური გასაუბრება სააგენტოს წარმომადგენელთან (საშუალოდ ერთი რეგისტრაცია იკავებდა 1-2 საათსძ. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საკონსულოს სამუშაო საათები და მისი ადგილმდებარეობა სრულიად არ შეესაბამება მოთხოვნებს, ეს გზა რჩებოდა სერიოზულ ინსტრუმენტად მოქალაქეებისთვის, მაგრამ ახლა ეს პროცედურა ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა, რადგან საჭიროებს სპეციალურ ტექნიკურ აღჭურვას.

**— თქვენი აზრით, საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების რა რაოდენობა ვერ შეძლებს, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?**

— გვინდა, გულისტკივილით ავღნიშნოთ, რომ ამ პროცედურის გართულებამ გამოიწვია ის, რომ უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეთა 70% მომავალ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს, ისინი, ვინც არალეგალურად არიან უცხოეთში, განსაკუთრებით ეს ცვლილებები შეეხებათ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, აშშ და კანადა, არადა სწორედ ამ ქვეყნებშია კონცენტრირებული საქართველოს ემიგრაციის დიდი ნაწილი და ჩვენი გამოცდილება აჩვენებს, რომ ესაა ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქეები. ასევე სიტუაციას უკიდურესად ართულებს არჩევნების თარიღად ორშაბათი დღის გამოცხადება. ყოველივე ზემოთ თქმულიდან უკვე აშკარაა, რომ 2012 წელს ჩასატარებელი არჩევნების დემოკრატიულობა ეჭვქვეშ დგება და აუცილებელია, ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა გაიმართოს როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში.

**თეა მიროტაძე,**

„პირველი“

# დედამიწის ზურგზე




„საშინელებათა შვიდი წუთი“: აპარატი „კურიოსიტი“ მარსის კრატერში ჩაჯდა და გადმოსცა პირველი ფოტო პლანეტიდან

**„ნასას“ აპარატის დაჯდომა ხდებოდა ფაქტობრივად ბრმად, ატმოსფეროში შესვლის უკანასკნელ წუთებზე პროცესს მთლიანად თვალყურს ადევნებდა ავტომატი, და თუ რაიმე ისე არ მოხდებოდა, როგორც საჭირო იყო, მისია შეიძლება ჩაშლილიყო. ობამამ ამ დაჯდომას უკვე უწოდა „უპრეცედენტო ისტორიული გმირობა“.**

* * *



მეხის დაცემისგან ამერიკის შეერთებულ შტატებში ავტორბოლებზე ათი კაცი დაზარალდა, ერთი დაიღუპა

**მეხი დაეცა სადგომს მთავარი ტრიბუნის მიღმა, მას შემდეგ, რაც „ნასკარის“ რბოლის 98 წრეზე ძლიერი წვიმის გამო რბოლა შეწყვიტეს და მაყურებელი ტოვებდა ავტოდრომს. ეს მოხდა პენსილვანიის შტატში. ხუთ დაზარალებულს დახმარება ადგილზევე გაუწიეს. დანარჩენი გაიგზავნა საავადმყოფოში, სადაც ერთი გარდაიცვალა.**

* * *



ეგვიპტის პრეზიდენტი დაგვპირდა „გაუსწორდეს ტერორისტებს“. ეგვიპტემ დაბლოკა საკონტროლო-გამტარი პუნქტი ღაზის სექტორთან საზღვარზე

**მოძრაობა „მუსლიმანი ძმების“ ხელმძღვანელობამ მოუწოდა პრეზიდენტს, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ეგვიპტის სუვერენიტეტის აღსადგენად სინაის ნახევარკუნძულზე და შეიარაღებული ბანდების ლიკვიდაციისთვის. ტერორისტული ორგანიზაციის „ჰამასის“ ხელმძღვანელობამ, რომელიც აკონტროლებს ღაზის სექტორს, ბრალი დასდო ისრაელს პროვოკაციაში.**

* * *



ტაჯიკეთის ომონის რაზმის მეთაურის მოადგილის გვამი მდინარეში აღმოაჩინეს. რაზმი მონაწილეობდა სპეციალურ ოპერაციაში ხოროგში

**ვიცე-პოლკოვნიკ ფარუხ ზარიფოვის სხეული აღმოაჩინეს მდინარე პიანჯის ავღანეთის სანაპიროზე ბადაგხანის პროვინციაში ადგილობრივმა გლეხებმა. მათ ამის შესახებ აცნობეს ავღანელ მესაზღვრეებს, მათ კი ცხედარი გადასცეს თავიანთ კოლეგებს ტაჯიკეთიდან. სამხედრო მოსამსახურის უცნაური დაღუპვის ვითარებას იკვლევენ.**

* * *



ირანმა გადაწყვიტა, გამორთოს თავისი სამინისტროები ინტერნეტიდან, რათა დაიცვას ისინი კიბერშეტევებისგან

**ბრიტანული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ მონაცემებით, შესაბამისი ნაბიჯი რეალიზებული იქნება თეირანის მიერ სექტემბერში. ინტერნეტის შინაგანი ქსელებით ჩანაცვლების პროექტი ირანში გეგმის მიხედვით უნდა დასრულდეს უახლოესი წლინახევრის განმავლობაში.**

სიტუაციის შესაფასებლად ვისარგებლებ ამონარიდით კონსტანტინე სიმონოვის იმ ნარკვევიდან, რომელიც მოთავსებულია პოლიტგამომცემლობის 1991 წლის „ანტიბერიულ“ კრებულში. ამ ნარკვევის მთელი პასკვილურობის მიუხედავად, სიმონოვისაგან, იმჟამად სკკპ-ის ცკ-ის წევრისგან, რაღაცის გადმოღება შეიძლება:

„რატომ იყო ბერია დაინტერესებული, რომ მალენკოვი გამხდარიყო სტალინის მემკვიდრე სწორედ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ხოლო ბელადის პოსტი ცკ-ის სამდივნოში დაეკავებინა მეორეხარისხოვანი მასშტაბის (ლავრენტი პავლოვიჩის თვალსაზრისითძ კაცს – ხრუშჩოვს, რომლის პიროვნებასა და ხასიათშიც ბერია ვერა და ვერ გაერკვა თავისი დაცემის თვით ბოლო დღემდე? რატომ და სულ უბრალოდ. ლავრენტი პავლოვიჩის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მთავარი როლი ქვეყნის ხელმძღვანელობაში შეესრულებინათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეებს...“

აქ ორი დამოწმებაა ფასეული: 1ძ ბერია მართლაც სტალინის იდეების სულისკვეთებით აზროვნებდა პარტიის შეცვლილი როლის თაობაზე; 2ძ ორპირი კაცი ბერია კი არა, ხრუშჩოვი იყო...

და კიდევ ერთი რამ ვერ გაიგო სიმონოვმა: მოისურვა რა ლავრენტი პავლოვიჩის გაშავება, არგუმენტები აქ იმის სასარგებლოდ მოიყვანა! ბერიას აქტიურობის შემაგულიანებელ მიზეზებად მწერალმა დაასახელა ეგოისტური კი არა, სახელმწიფოებრივი მოსაზრებები!

თუმცა სიმონოვმა სწორად განსაზღვრა, რომ სიტუაციის „ნერვი“ წარმართეს არა „მალენკოვ-ხრუშჩოვის“ ან „მალენკოვ-ბერიას“ ხაზებმა, არამედ „ხრუშჩოვ-ბერიას“ ხაზმა. ორი უკანასკნელი ფიგურის დამოკიდებულებათა გარშემო დახვავებულია იმდენი სიცრუე (რომლის ამოსავალი თეზისები თვით ნიკიტა სერგეევიჩმა წამოაყენა პირდაპირ ცკ-ის პლენუმზე ბერიას დაპატიმრების შემდეგძ, რომ დაწვრილებით იმის ასახსნელად ახლა არა მაქვს შესაძლებლობა...

„ისტორიკოსებს“ ისიც „გამორჩათ“, რომ ლავრენტი პავლოვიჩმა სახელმწიფოს ნებისმიერ სხვა ხელმძღვანელზე (სკკპ-ის ცკ-ის პრეზიდიუმის შემადგენლობიდანძ უკეთ იცოდა სახალხო-სამეურნეო პრობლემები. აქ იმასთან გატოლება შეეძლოთ მხოლოდ კაგანოვიჩს, საბუროვსა და პერვუხინს, მაგრამ პირველი მათგანი უკვე საკმაოდ ხანდაზმული გახლდათ, ორი უკანასკნელი კი – ბერიაზე უფრო დაბალი სახელმწიფო სტატუსის მქონე და ნაკლებად გავლენიანი.

ლავრენტი პავლოვიჩი კარგად ერკვეოდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პერსპექტიულ მიმართულებებშიც; ზუსტ შეხედულებას ატარებდა რაციონალურ საგარეო პოლიტიკაზე, თანაც სწორად ესმოდა საშინაო პოლიტიკის არსებითი პრობლემებიც.

ამასთანავე, ეკონომიას ბავშვობიდან მიჩვეული, ყველასგან, ვისთანაც მუშაობდა, ყოველთვის და ყველაფერში ითხოვდა ეკონომიას – არა კაპიკებისას, არამედ მოფიქრებულს. ესეც გამოარჩევდა ცკ-ის პრეზიდიუმის ყველა დანარჩენი წევრისგან.

ეგ კია, რომ ვეებერთელა მოცულობის სამუშაოს შემსრულებელი, ის სხვებთან შედარებით, ნაკლებად ჩანდა საზოგადოებრივ სახილველზე. რას იზამ, ამნაირი იყო მისი საქმიანობა. მაგალითად, ვინ იცოდა ქვეყანაში, რომ ატომური იარაღი – ეს ბერიაა?

ომამდე კაგანოვიჩი მართავდა სხვადასხვა დარგის მოწინავეთა საჯარო შეკრებებს, ბერიას კი საქმე მუდამ ჰქონდა მხოლოდ ამ დარგების უმაღლეს ხელმძღვანელობასთან.

„ვოროშილოვისებური მსროლელები“ მილიონობით იყვნენ ომამდელ ახალგაზრდობაში, აი ბერიასებური სნაიპერები კი ომში ხდებოდნენ ათეულ ათასობით; და ლავრენტი პავლოვიჩს ქვეყანაში ნაკლებად იცნობდნენ, ვიდრე ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, მიქოიანს, მოლოტოვს, ხრუშჩოვს... სამაგიეროდ, თვით ქვეყანა, მისი შესაძლებლობანი მან იცოდა „ძველ გვარდიაზე“ უკეთესად.

ვფიქრობ, რომ ლავრენტი პავლოვიჩს დიდი ხანია უნდოდა, – ალბათ, ცოტა გულუბრყვილოდ, – რომ სტალინს ის, ბოლოს და ბოლოს, სრულად დაეფასებინა და მემკვიდრედ გაეხადა. ბერია ხომ საამისოდ ნებისმიერ სხვაზე უფრო შესაფერისი გახლდათ.

რა თქმა უნდა, წლებთან ერთად არ შეიძლებოდა მას არ გამომუშავებოდა ქცევის მანერა, რომელიც, ერთი შეხედვით, ზედმეტად თავდაჯერებული მოჩანდა. აბა, სხვანაირად როგორ მოასწრებდა ამდენის გაკეთებას სხვადასხვა სფეროში, თუ, რომ იტყვიან, როშვას მოჰყვებოდა? ლავრენტი პავლოვიჩს გულიანად შეეძლო თქმა ტელეფონში, ანუ, ფაქტობრივად, პირისპირ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და იმავდროულად, რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრ ბაქრაძისათვის: „მეკონსერვე ხარ და არა პოლიტიკოსი“, ან პარტიულ ბოსთა წინაშე ქედმოდრეკილი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერლისათვის: „სამხრეებიანი მოხელე ხარ“, თუმცა ეს სწორედ ზუსტი და „გემრიელი“ შეფასების მიცემის იშვიათ უნარზე მეტყველებს, როცა სიტყვით ორივე ბეჭზე დასცემენ ხოლმე.

იგი მუდამ მარჯვე გახლდათ სიტყვითაც და საქმითაც; თანაც სიტყვაც გამიზნული ჰქონდა და საქმეც „საქმიანი“; და აი, ახლა ლავრენტი პავლოვიჩს შეეძლო თავისი იდეების სწრაფი წაწევის იმედის ქონა, ვინაიდან ცკ-ის პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ მას ჰქონდა იდეები. თავისი!!!

ოღონდ თითქმის უმალვე შეეჯახა პარტოკრატიის იმ უკუქმედებას, რომლის დაძლევა ასე სურდა, მაგრამ ვერ შეძლო სტალინმაც კი...

ვუბრუნდები ჯალათობის თემას.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-148

სწორედ ნიკიტა ხრუშჩოვი იყო სისხლიანი ჯალათი თუ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არა, მაშინ პოლიტიკური აზრით – სავსებით! ეს დასტურდება მისი პროვოკაციული, ჯალათური პოლიტიკით მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად ყოფნის დროსაც და უკრაინის კომპარტიის (ბოლშევიკებისძ ცკ-ის პირველ მდივნადაც.

ბერია კი? 1937-1938 წლების თვალშისაცემი რეპრესიების თანამონაწილე ის არ ყოფილა, როგორც ხრუშჩოვის დონის ფიგურა. 1938 წლის ბოლოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მოსვლისას მან ისტორიულად აუცილებლამდე შეამცირა რეპრესიული პოლიტიკის მოცულობა (კატინის ყალბი დოკუმენტის ან დეპორტაციების გამო ხომ



## სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

### რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




ვერ ეტყვი საყვედურს!ძ. 1946 წლის იანვრიდან კი ლავრენტი პავლოვიჩს საერთოდ არ ჰქონია დამოკიდებულება რეპრესიულ სპეცსამსახურებთან, როგორც მათ პოლიტიკაზე გავლენის მომხდენ ფიგურას. მართალია, მას მიაწერენ ამ სამსახურთა კურირებას ომის მერე, მაგრამ უნდა შევახსენოთ: 1946 წლის მარტიდან 1949 წლის თებერვლამდე იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორგანოებს კურირებას უწევდა, უწინარეს ყოვლისა, ცკ-ის მდივანი, ცკ-ის საორგანიზაციო ბიუროს წევრი და იმავდროულად ცკ-ის კადრების სამმართველოს უფროსი, ამხ. ა.ა.კუზნეცოვი! სწორედ ის, „ლენინგრადელი“, „სტალინიზმის“ მსხვერპლი... და მისი გავლენა ისე დიდი გახლდათ, რომ შეეძლო მინისტრის პოსტიდან მერკულოვის, ბერიას ძველი თანამოღვაწის გადაყენება; ხოლო კუზნეცოვის დანაშაულებს (რახან იმ პერიოდის დანაშაულებზე ჩამოვარდა სიტყვაძ ბერიას შინაგან საქმეთა სახკომობას მიაწერენ, თუმცა, იმ დროს ის არ ყოფილა სახკომი! ხომ არ დადგა ჟამი, რომ ბატონმა „დემოკრატებმა“ იცოდნენ ღირსება თუ არა (რაც არა აქვთ, არც ეცოდინებათძ, ზომა მაინც?..

ეს სიტუაციაც განვიხილოთ – დავუშვათ, რომ „ტახტთან“ მართლაც შეეჯახნენ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ხრუშჩოვი და ბერია...

ერთი სიზარმაცისკენ იხრება, უხეშია, როგორც ორგანიზატორი – სუსტია; თავის სასარგებლოდ ადამიანთა განწყობა არც ეხერხება და არც სურს... ეს, რასაკვირველია, ხრუშჩოვია.

მეორე – თვით ენერგიის განსახიერებაა, საუცხოო ორგანიზატორია, ემარჯვება კადრების შერჩევა და წახალისება. ეს, რასაკვირველია, ბერიაა.

საქმე ის იყო, თუ ვინ დაასწრებდა „გასროლას“? პასუხი ალბათ, ცხადია, ოღონდ ბერიამ არ „გაისროლა“. ვერ მოასწრო? სისულელეა! მას რომ „გასროლა“ მოესურვა, რატომ გააჭიანურებდა? მთელი „ძველი გვარდია“ კი არ უნდა ჩამოეცილებინა, არამედ მხოლოდ ხრუშჩოვი და რაკი არა და არ „გაისროლა“, ნათელია, რომ არც აპირებდა უმაღლესი ხელისუფლების დაპყრობას! გულუბრყვილოდ (დიახ, დიახ!!ძ ეგონა, რომ ორი ვარიანტიდან რეალიზებული იქნება ერთ-ერთი.

პირველი ვარიანტი – თუ ლავრენტი პავლოვიჩი ფორმალურად მეორე ან მესამე პირი გახდება, ნებისმიერ შემთხვევაში არაფორმალურ ლიდერად აღიარებენ – სხვებზე მისი აშკარა ინტელექტუალური და საქმიანი აღმატების გამო.

მეორე ვარიანტი – იმავე ზემოხსენებული მიზეზით კოლეგები რაღაც დროის მერე მაინც გადასცემენ მას ფორმალურ ლიდერობასაც. ლავრენტი პავლოვიჩი ხომ თავადაც ფიქრობდა, რომ ამისი ღირსია. გვაქვს შესაბამისი ჩვენებითი დამოწმებაც. უკვე „ანტიბერიული“ პლენუმის დამთავრების შემდეგ დამხობილი ბერიას კბენა მოისურვა პოსკრებიშევმაც, შეიტანა რა ცკ-ში თავისი შეუმდგარი გამოსვლის ტექსტი (რამაც, სხვათა შორის, ვერ უშველა და მალე ის პენსიაზე გაუშვესძ.

ამ დოკუმენტის გაცნობით ვრწმუნდებით, რომ პოსკრებიშევს ჭკუის გამო კი არ აჩერებდა სტალინი, არამედ მეხსიერების გულისთვის. შედეგად ბელადის მდივანმა, ლავრენტი პავლოვიჩს რომ შეასხა მთელი გოვზა ტალახი, ცოტა როდი გვაუწყა ისეთი, რაც ნაუწყევზე სწორად შეხედვისას, მეტყველებდა ბერიას სასარგებლოდ, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და ადამიანისა!

ლავრენტი პავლოვიჩს ჰქონდა უფლება, რომ გულწრფელად ყოფილიყო ნაწყენი იოსებ სტალინზე, რომელმაც ვერა და ვერ დაინახა აშკარა გადაწყვეტილება. ვერ დაინახა, შესაძლოა, არა იმიტომ, რომ ბერია ვინმეს ცილს სწამებდა, არამედ იმიტომ, რომ ვიღაცა ბერიას სწამებდა ცილს სტალინის წინაშე.

ლავრენტი პავლოვიჩს აშკარად არ ეხერხებოდა თავის მოჩვენება, სამაგიეროდ ნიკიტა სერგეევიჩი თავის მოჩვენების ხელოვნებას სრულყოფილად ფლობდა; და რამდენადაც არც სტალინს ემარჯვებოდა თავის მოჩვენება, მისი გაცურება ხრუშჩოვს შეეძლო.

ეს ჩერჩილთან იყო ბელადი ყოველთვის ფხიზლად და საომარ მზადყოფნაში, „ნიკიტა“ კი შინაური გახლდათ, თანაც მარტო სტალინისთვის კი არა, ბერიასთვისაც. დიაც, სტალინიცა და ბერიაც, როგორც ყველა მშრომელი, რაღაცაში მოუსპობელი იდეალისტები გახლდნენ და სჯეროდათ პარტიული ამხანაგებისა და ქვეყნის ხელმძღვანელობისა; ლავრენტი პავლოვიჩს ამიტომ სწამდა ნიკიტა სერგეევიჩისაც. ყოველ შემთხვევაში, მიუხედავად სტალინის სიკვდილის გარემოებათა მთელი საეჭვოობისა, სათუოა, რომ ბერიას შეძლებოდა დაეჭვება ცკ-ის პრეზიდიუმის რომელიმე წევრისგან საქმის ინტერესების პირდაპირ ღალატში.

1998 წელს ჟურნალ „ახალი და უახლესი ისტორიის“ მე-5 ნომერში პროფესორმა ნაუმოვმა დასვა კითხვა: „იყო თუ არა ბერიას შეთქმულება?“ და „ისტორიკოსმა“ – „დემოკრატმაც“ კი ვერ შეძლო ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა მაშინ პირველად „გახსნილი“ დოკუმენტების შუქზე.

გაერთიანებულ შსს-ში დაბრუნებული ლავრენტი პავლოვიჩი რომ ცინიკოსი და ინტრიგანი ყოფილიყო, უკვე პირველივე დღეებიდან მართლაც მოამზადებდა გადატრიალებას და მოაწყობდა კიდევაც სწრაფად და ეფექტიანად; და მოაწყობდა ისე, რომ გარეგნულად ეს არ გამოჩნდებოდა, როგორც გადატრიალება. უბრალოდ, ხრუშჩოვი უცბად, ვთქვათ, შეუძლოდ გახდებოდა... და მალე პატივით დაკრძალავდნენ წითელ მოედანზე.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მალენკოვი კი მოულოდნელად აღესრულებოდა ნერვული შერყევისგან საბჭოთა ხალხის ასეთი გამოჩენილი ბელადის გარდაცვალების შემდეგ, თუმცა „დიდი დანაკლისების“ რიგითობა შეიძლებოდა შებრუნებულიც ყოფილიყო.

რატომ არ უნდა დავუშვათ ამბების ამგვარი განვითარება, თუკი ბერია იყო „აღიარებული კაციჭამია და ინტრიგანი“, ერთპიროვნული ძალაუფლებისკენ მისწრაფებული?..

არაფერი მსგავსი მას არ ჩაუდენია, თუმცა ხრუშჩოვისგან გადაყენების შემდეგაც პარტოკრატი შეპილოვი თავისას მიერეკებოდა: „ხრუშჩოვის დიდი დამსახურება ისაა, რომ მისი ინიციატივით იქნა გაუვნებლებული ბერია – საშინელი ადამიანი, ვისი ხელებიც სისხლით იყო მოთხვრილი“.

გასაგებია რატომაც – შეპილოვი გახლდათ მომხიბვლელი პიროვნება, თუმცა პოლიტიკურად უსინდისო. ლავრენტი პავლოვიჩი არავის მოხიბვლას არ ესწრაფოდა, მაგრამ სინდისი ჰქონდა; ამიტომაც ის და შეპილოვი ანტიპოდები იყვნენ, აი შეპილოვი და ხრუშჩოვი კი „ერთი სისხლისანი“ იყვნენ...

შეპილოვი 1995 წელს მოკვდა და პიროვნება რომ ყოფილიყო და არა პოლიტიკური არარაობა, ცხოვრებას კბილებით გამოგლეჯდა ელცინისა თუ გორბაჩოვის, თუ კაპიტალიზაციის საჯაროდ შეჩვენების უფლებას! ის კი ბოლომდე „ამხელდა“ ბერიას, თუმცა ყველა ელცინოიდი და გორბაჩოველი ლავრენტი პავლოვიჩის დამსხვრეული პენსნეს ერთ ნატეხადაც კი არ ღირდნენ და არ ღირან!

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

ოლიმპიადა 2012

# ქართველები ლონდონში



**ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან პირველი გავიდა ოლიმპიურ ხალიჩაზე ზურაბ დათუნაშვილი (74), რომელმაც ნაკრებიდან ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია ამოაგდო — ბოლო სალიცენზიო ტურნირზე სწორედ მან მოიპოვა ლონდონის საგზური.** პირველ ორ მეტოქეს დათუნაშვილმა იოლად სძლია: სამხრეთკორეელ ჯინჰეოკ კიმს ორ სეტში 5:0 და 1:0 აჯობა, ხოლო ამერიკელ ბენჯამინ პროვისორის პირიქით — 1:0 და 6:0 მოუგო. მესამე წრეში ჩვენებურის მეტოქე გახლდათ აზერბაიჯანელი ემინ აჰმადოვი. პირველ სეტში დათუნაშვილმა მიაღწია წარმატებას — 3:0. მეორე ასეთივე ანგარიშით დათმო. გადამწყვეტი მესამე ორწუთიანი მონაკვეთი აზერბაიჯანელის უპირატესობით წარიმართა და ნახევარფინალშიც ის გავიდა, სადაც სომეხ არსენ ჯულფალაკიანთან წააგო და ჩვენებურს დამამშვიდებელ ჯგუფში ჩასართველად გზა გადაეკეტა. ჩემპიონობა რუსმა რომან ვლასოვმა მოიპოვა. მეორე იყო ჯულფალაკიანი, აჰმადოვი და ლიტველი კაზაკევიჩი ბრინჯაოს დასჯერდნენ.

**ბატუტზე მხტომელ ლუბა გოლოვინას ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა აქვს მოპოვებული. უფროსებში მსგავსი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია.** თვალსაჩინო შედეგი მხოლოდ პეკინის ოლიმპიადაზე მე-6 ადგილი იყო. გვეგონა, რომ ლონდონში იგი ოთხი წლის წინანდელ შედეგს გააუმჯობესებდა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ურიგოდ არ უასპარეზია. პირველ ვარჯიშში 47.805 ქულა დაიმსახურა და მე-6 ადგილზე დამკვიდრდა, თუმცა მომდევნო ხტომები არ გამოუვიდა. ამის მიუხედავად, ფინალში, სადაც ყველაფერი თავიდან დაიწყო, სწორედ მე-6 შედეგით შევიდა. გადამწყვეტ ეტაპზე ვერ გამოირჩეოდა ლუბა ჩვეული სიყოჩაღით. მერე გაირკვა, რომ წლეულს პეკინის მსოფლიოს თასზე მიღებულმა ფეხის ტრავმამ ლონდონში შეახსენა თავი. 52,925 ქულით თბილისელმა სპორტსმენმა მე-7 ადგილი დაიკავა. ჩემპიონობისთვის პაექრობაში ყველას კანადელმა სპორტსმენმა, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა როსანა მაკლენანმა აჯობა — 57.305 ქულა. გამარჯვებულს 0,575 ქულით ჩამორჩა პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი შანშან ჰუანი (ჩინეთი), რომელიც მეორე ადგილს დასჯერდა. 55,950 ქულით მესამე ადგილი პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა ჰი ვიენამ (ჩინეთი) დაიკავა.



**სიგრძეზე მხტომელ ბოლესლავ სხირტლაძეს საკვალიფიკაციო რაუნდში სამი ცდა ჰქონდა და მათგან საუკეთესო იყო 7.26 მეტრი, რაც 0,82 მეტრით ნაკლებია მის პირად რეკორდზე.** ამ შედეგით ქართველმა მძლეოსანმა 42 მონაწილეს შორის მხოლოდ 35-ე ადგილი დაიკავა და, ბუნებრივია, ფინალურ 12 საუკეთესოში ვერ მოხვდა.

**ლექსო ცინცაძე**



კალათბურთი

# კაპიტანი მაინც სჭირდება

**მართალია, ოლიმპიადის ცხარე დღეებმა სხვა სპორტული ღონისძიებები დაჩრდილა, მაგრამ კალენდარი კალენდარია და დანარჩენი ტურნირები განრიგის შესაბამისად ეწყობა.**




როგორც მოგეხსენებათ, 18 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები „ევრო — 2013"-ის საკვალიფიკაციო რაუნდში იასპარეზებს, სადაც, როგორც შარშანდელი ფორუმის აღმოჩენა, ფავორიტის სტატუსით ითამაშებს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ იგორ კოკოშკოვის შეგირდთა ამჟამინდელი კონდიციები საფიქრალს გვმატებს. ეს განსაკუთრებით დაცვას ეხება, რაც მთელმა რიგმა საწვრთნელმა შეკრებებმა და სპარინგ-მატჩებმა დაადასტურა, მათ შორის უკანასკნელი ავსტრიელებთან, რომელიც ქალაქ შტაინბრუნში 77:89 დავთმეთ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ გადახალისებული შემადგენლობით გამოსვლის გარდა, „ჯვაროსნებს" მათი ლიდერი და კაპიტანი ზაზა ფაჩულია აკლდათ, რომელიც პარტნიორებს მალე შეუერთდება. რაც შეეხება დამდეგ შესარჩევ შეხვედრებს, მათთვის სათანადოდ მოსამზადებელ გენერალურ რეპეტიციად შეგვიძლია მივიჩნიოთ ოთხთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში დღეს იწყება მასპინძელთა, ესტონელთა, უკრაინელთა და ბელარუსთა მონაწილეობით.

თამაშები 16.30 და 19 საათზე დაიწყება და მათზე დასასწრები ბილეთები 5 ლარი ელირება.

**გიორგი შოთაძე**

თაობა

# ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!

**17 წლის ქართველი ცენტრალური მცველი ნიკა ჭანტურია ლონდონის „არსენალშია" გასინჯვაზე. ფეხბურთელი კვირას ჩაფრინდა ლონდონში და გუშინ პირველად ივარჯიშა სახელოვან კლუბში. ათლეტური აღნაგობის ჭაბუკი სააგენტო FA PLAYERS AGENTS-მა ჩაიყვანა „არსენალში", კერძოდ, გუგა კაჭახიძემ, მალხაზ მუსერიძემ და ბესო აბაშიძემ.**

ჭანტურია სარეზერვოების გარდა, „არსენალის" მთავარ გუნდთანაც ივარჯიშებს. ქართველი იქ ორი კვირის განმავლობაში დარჩება და „მეთოფეების" პოზიციაც ამის შემდეგ გახდება ცნობილი. ჭანტურია ფრანგი მწვრთნელის, არსენ ვენგერის თვალთახედვის არეშიც იქნება. ვენგერი, როგორც წესი, „არსენალის" რეზერვებსა და ასაკობრივ გუნდებს აკონტროლებს.

თბილისის „ლოკომოტივის" ფეხბურთელი ჭანტურია 19 იანვარს ხდება 18 წლის. ეს ფეხბურთელი ქართველი გულშემატკივრებისთვის უცხო სულაც არაა: ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრების კაპიტანი გახლდათ.

გეცოდინებათ, ჭანტურია და ამავე ნაკრების ფორვარდი დავით ჯიქია გერმანული „ფრაიბურგის" 19-წლამდელებში ვარჯიშობდნენ ერთი კვირის განმავლობაში და „არსენალის" ვარიანტიც ამ დროს გამოჩნდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ჩოგბურთი

# თითო „ოქრო" და „ვერცხლი"



**სომხეთის დედაქალაქ ერევანში დამთავრდა ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი „ორანჯ კაპი". შეჯიბრებაში ქართველი გოგო-ბიჭებიც მონაწილეობდნენ.** წყვილებში თავი ისახელეს მიხეილ ხმიადაშვილმა და შოთა მეფარიძემ, რომლებმაც ფინალში ჯაბორ მოჰამედ ალი მუტავას და მუსა შანან ზაიედის (ორივე — ყატარი) აჯობეს — 6:2, 6:4 და მთავარი პრიზი მოიპოვეს. ხმიადაშვილმა ერთეულთა თანრიგშიც იყოჩაღა — ზედიზედ ოთხ მეტოქეს მოუგო, მათ შორის თანამემამულე ალექსანდრე ბაკშის, თუმცა გადამწყვეტი პაექრობა რუს რომან საფიულინთან დათმო — 6:7, 3:6 და მეორე ადგილზე გავიდა.

**ლაშა დიდია**

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

2012 წლის 10 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ“. აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №4; №15; №20 და №21 სალიცენზიო ობიექტზე სააგენტოში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №4; №15; №20 და №21 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით:

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 15 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 20 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| 21 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

## შეუცნობელი

# შურის ანატომია

**ნეიროფიზიოლოგებმა იმის გარკვევა გადაწყვიტეს, თუ როგორ წარმოიშვება ადამიანში შურის ბუნებრივი გრძნობა.**

შური შვიდიდან ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება. თვალის ერთი გადავლებით, განა რა ზიანი უნდა მოჰქონდეს სხვის წარმატებას საკუთარ მიღწევებთან შედარებით გამოწვეულ, რომ იტყვიან, „თეთრ შურს"? ადამიანი ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე ვილაცასთან გამუდმებულ შეჯიბრშია ჩართული, რაც თავისთავად სხვის მიღწევებთან შედარებაზეა დაფუძნებული? სკოლაში ერთმანეთს ფრიადოსნები და სამოსნები ეჯიბრებიან, სამსახურში – კარიერისტები, ცხოვრებაში – წარმატებულები და წარუმატებელნი. მაგრამ საღად მოაზროვნე კაცს ესმის, რომ გაუთავებლად შედარება უაზრობაა, რადგან ვერც ყველა ფრიადს მიიღებ კაცი, ვერც მთელ ფულს მოიხვეჭ, ვერც ყველაზე მეტად სახელოვანი გახდები.

ამასთან, **არიან ადამიანები, რომლებსაც მტკიცედ სწამთ, რომ ყოველივე საუკეთესო მუდამ სხვას ეკუთვნის.** ასეთი ხალხი ჭეშმარიტად ცოდვილია. მაგრამ, ისმება კითხვა: რატომ ჰგონიათ მათ, რომ ეს აუცილებლად ასეა? სწორედ ამის გარკვევა გადაწყვიტეს ამერიკის ჯანდაცვისა და სამედიცინო კვლევათა ნაციონალური ინსტიტუტის ნეიროფიზიოლოგებმა.

ორი მოკლე ვიდეორგოლის ნახვის შემდგომ მკვლევარებმა მოხალისეთა თავის ტვინის სკანირება ფუნქციონალური მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეთოდით მოახდინეს. პირველ ვიდეორგოლში ერთი კანფეტი უბრალოდ მაგიდაზე იდო, მეორეზე კი ვილაცის ხელი რამდენიმე კანფეტიდან ერთ-ერთს იღებდა. შემდეგ გამოსაცდელებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: რომელი კანფეტის მიღებას მოისურვებდნენ – იმის, რომელიც მაგიდაზე იდო თუ ვილაცის მიერ უკვე არჩეულის? **თითქმის 60 პროცენტმა მეორე ვარიანტი აირჩია!**

– ნამდვილად გაგვიკვირდა, რომ ამდენმა კაცმა მაინცდამაინც სხვის არჩევანს დაადგა თვალი, – აღნიშნა ექსპერიმენტის ხელმძღვანელმა, ბიოლოგიის დოქტორმა დენის დიუბოლმა. – თუმცა სავსებით გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში მარტივმა ქვეცნობიერმა მექანიზმმა იმუშავა: **თუკი ვინმემ რაღაც უკვე აიღო, იყიდა, შეიყვარა და ა.შ., მაშასადამე ეს საუკეთესოა!** ამიტომ საჭიროა ან ასეთივე ქონა, ანდა მისი სხვისთვის წართმევა.



ტომოგრაფიის მონაცემთა გაანალიზებისას კი მეცნიერებმა პათოლოგიურად მოშურნეთა თავის ტვინის მუშაობაში აშკარა დარღვევები ნახეს.

– „ცოდვილებს" თავის ტვინის პრემოტორული ქერქისა და კეფის სარკისებრი ნეირონების ჭარბი აქტივობა დაუდგინდათ, – ამბობს დოქტორი დიუბოლი. – ამის გარდა დაფიქსირდა აქტივობის მომატება თავის ტვინის იმ უბნებში, რომელთა ფუნქციაა იმის გადაწყვეტა, ღირს თუ არა გარკვეულ ობიექტზე ძალისა და დროის დახარჯვა.

სარკისებრი ნეირონები მაშინ აღიგზნებიან, როცა ადამიანს რაღაცის გამეორება, ანუ სარკის ეფექტის მიღწევა სურს, რამაც მათი სახელწოდება განაპირობა. ითვლება, რომ უცხო ენების შესწავლა სარკისებრი ნეირონების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.

Forsa-ს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ინსტიტუტის თანამშრომლებმა შურთან დაკავშირებით ათასზე მეტი ევროპელი გამოკითხეს. აღმოჩნდა, რომ **35 პროცენტს მათზე მეტი შემოსავლის მქონე კოლეგებისა შურს; 30 პროცენტს იმისა, ვინც ქონება მიიღო და შეუძლია არ იმუშაოს; 20 პროცენტს – ბედნიერი ოჯახების პატრონი მეგობრებისა, ხოლო 15 პროცენტს – იმ ხალხისა, ვინც მეგობრებს ადვილად იძენს.**

– ახლა კი ჩვენ დავადგინეთ, რომ სარკისებრი ნეირონები ასევე თავის ტვინის შეფასების სისტემასთან არიან დაკავშირებულნი, – განაგრძობს დოქტორი დიუბოლი. – ფაქტობრივად გამოდის, რომ სარკისებრი ნეირონები ადამიანის გარშემო საგნებისა და მოვლენების შეფასებისას სხვა, ასე ვთქვათ, ფასეულობითი ნეირონების მუშაობას სტიმულირებენ. ამასთან, თავის ტვინის „სარკე" სწორედ გამეორების პრინციპით მუშაობს.

მოშურნეების თავის ტვინის ამ ორ სისტემას შორის ძალიან ძლიერი, თითქმის პათოლოგიური კავშირი არსებობს, რაც ადამიანს მოქცევას გარემოებებზე უკიდურესად დამოკიდებულს ხდის. ამიტომაც იყო, რომ კანფეტებით ცდის დროს მათ მაინცდამაინც სხვის მიერ არჩეული კანფეტი მოინდომეს.

– მაგრამ ეს მათი ბრალი არ არის, – ამართლებს ამ ხალხს დოქტორი დიუბოლი. – უბრალოდ, მათ საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, ისინი სნეული ხალხია.

ეგ კია ასე, მაგრამ „სნეულ ცოდვილთა" რიცხოვნობა, ცოტა არ იყოს, საგანგაშოა.

**ნინო ალექსანდრია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

## ჟურნალ-გაზეთებიდან



### ეს იმხელა სირია, აქ მოგვიწყობს სირიას!

– ჩვეულებრივ გონებამახვილურად აცხადებს რეზო ამაშუკელი და სააკაშვილს მიმართავს, – პირველად მე შეგადარე როსტომ-ხანს, მაგრამ არ ვიყავი ბოლომდე მართალი, რადგან როსტომ-ხანი რომ როსტომ-ხანია, ისიც კი ბევრად გჯობია, რადგან მსგავსი უგვანო, უსაქციელო და შენსავით ქართველთმოძულე არავინ იცის ისტორიამ არც ადრე და არც არასდროს!

**„ასავალ-დასავალი".**

### „ბაჩო ახალაიამ მერაბიშვილის ქონების წარმომავლობის შესწავლა დაიწყო"

– აცხადებს ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი, – სააკაშვილს მაინც არ ჰქონდა ბოლომდე ნდობა, რომ მერაბიშვილი მის ყველა დავალებას შეასრულებდა. ამიტომ მას მთელი ძალა გამოაცალა პოლიციის სახით და ძალიან სახიფათო პირებს ჩაუგდო ძალოვანები ხელში – ახალაიების ოჯახურ კლანს. ბაჩო ახალაია უკვე სწავლობს მერაბიშვილის ქონებრივ და ბიზნეს ინტერესებს. ეს სულაც არ მიკვირს, რადგან ასეთი ურთიერთობები ბოლოს ერთმანეთის გაწირვით მთავრდება.

**„ახალი თაობა".**

### „ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხარდასაჭერად დაყოფილია ოჯახები და სანათესავო

პოლიტიკური მოტივით ნათესავებს შორის დაპირისპირების ფაქტები ნელ-ნელა მატულობს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი 1 აგვისტოს სამეგრელოში დაფიქსირდა, როდესაც „ქართული ოცნების" წევრს მისი ნათესავი ემუქრებოდა და კოალიციასთან კავშირის გაწყვეტისკენ მოუწოდებდა. აი, ერთ-ერთის ნაამბობი: „ჩვენს სახლთან დედაჩემის წინააღმდეგ აქცია გამართეს, რომლის ორგანიზატორი დედაჩემის დეიდაშვილი იყო".

**„რეზონანსი".**

### „ხელოვნურად იქმნება პანიკა – არიქა, რუსი მოდისო!"

– ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, – საქართველოზე რუსეთის თავდასხმის მოტივაციით ხელისუფლებას ვითარების დაბევება აქვს გადაწყვეტილი, რომ მოახერხოს არჩევნების გადატანა, ლიკვიდაცია, სხვა ტიპის რეჟიმის შექმნა. ის, რაც დღეს ხდება მაღალ დონეზე შეთანხმებული ფსევდო ოპოზიციაა, რომელსაც, თითქოსდა, აგრესიის ფორმა აქვს.

**„კვირის პალიტრა".**

### ოთარ კობერიძის „საქმე"

„ქრონიკაში" გრძელდება მასალების ბეჭდვა მსახიობ ოთარ კობერიძის უმსგავსო წარსულის შესახებ. მამხილებელ მასალებს მასალები ემატება. მაგალითად, ერთ-ერთი მოქალაქე გაზეთში წერს: „მე ის კაცი ვარ, ოთარ კობერიძის გამო ერთი გოგო, რომელიც ძალიან მიყვარდა, ცოლად აღარ შევირთე, რადგან, როგორც თავად მითხრა, სკოლაში სწავლის დროს გოგონა თურმე ოთარ კობერიძეს შეუცდენია".

**„ქრონიკა".**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა სამძიმარს უცხადებს ლიანა შაყულაშვილს დედის

**მარიამ შაყულაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ეთერ გოცირიძე, ბადრი, ეკა, მაგდა ტყეშელაშვილები, გოჩა ახვლედიანი, ნოდარ ბურკაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გია ჯაყელი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნათლია მიშა გოცირიძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ნათლული

**გია ჯაყელი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თამაზ შარაბიძე, ნოდარ მაკალათია, ვაჟა გიორგაძე, ოთარ დავარაშვილი, გია ფოფხაძე, კონსტანტინე სარქისოვი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გია ჯაყელი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ანეკდოტები

– მე უკვე ყველაფერი ვიცი! – უწივის გაცოფებული ცოლი ქმარს.
– ჰოო? მაშინ მითხარი, რამდენი შენაკადი აქვს დუნაის?

* * *

– მიხო, ვინა თქვა, სწავლა, სწავლა და სწავლაო? – ეკითხება მასწავლებელი.
– მაგის თქმას მაინც ვერ დამაბრალებთ!

* * *



ცუდია, როცა ქათამი გზაზე გადარბის.

კიდევ უფრო ცუდია, თუ იგი იმავდროულად მობილურითაც ლაპარაკობს.

* * *

– დედი, დღეს ტესტირებაში მაღალი ქულები მივიღე!
– შესანიშნავია! რა ტესტი იყო?
– სისხლში ალკოჰოლის შემცველობაზე...

* * *

– ახლავე ყველა უნდა გაგაუპატიუროთ! – ღრიალებს ავტობუსში ამოსული მანიაკი.
– მოხუცები მაინც დაინდეთ! – ეხვეწება გოგო.
– რახან ითქვა, ყველაო, ესე იგი, ასეა საჭირო! – უპასუხებს იმ გოგოს მოხუცი ქალი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორის მაგიერ
რუსლან რუსია
299-62-77;
599 17-21-21

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24